



# ბათუმის უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №12 ოქტომბერი 2010

## შეხვედრა პირველკურსელებთან



**19 ოქტომბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე, პირველკურსელებს შეხვდა. შეხვედრა დიალოგურ რეჟიმში წარიმართა. ლევან ვარშალომიძემ სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებს პასუხი გასცა.**

აჭარის პირველი პირი სტუდენტებს რეგიონის სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე ესაუბრა, გააცნო მთავრობის მიერ დაგეგმილი სტრატეგიული პროექტები, რომელიც განათლების სისტემის გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

„გვინდა სტუდენტები მაქსიმალურად ჩაერთონ ქაღალის განვითარებაში. ჩვენი მიზანია მათ უკეთესი მომავალი შეუქმნათ. მოგწონთ ბოლო ხანებში ბათუმის განვითარება? მოგწონთ ზემო აჭარა, სადაც უახლოეს მომავალში სათხილამურო კურორტის გაკეთებას ვაპირებთ? ეს ყველაფერი კი უფრო ბევრ კითხვას ბადებს, რადგან რასაც ვაკეთებთ, ბუნებრივია ვიდაცამ უნდა მართოს, იმუშაოს. თქვენ უნდა ისწავლოთ და მომავალი საქართველო შექმნათ. ერთ-ერთი პროექტი, რომელსაც აჭარის მთავრობა თქვენთვის უკვე ახორციელებს, უცხო ენების შესწავლაა. როდესაც ხარ კარგი იურისტი, კარგია, მაგრამ ამავდროულად როცა უცხო ენასაც ფლობ, ეს დამატებითი შემოსავალია. ინვესტორები სხვადასხვა ქვეყნიდან შემოდიან და სანამ თქვენ დაამთავრებთ უმაღლეს სასწავლებელს, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება“, – აღნიშნა სტუ-

დენტებთან საუბრისას რეგიონის პირველმა პირმა.

ლევან ვარშალომიძემ ახალგაზრდებს აუხსნა, რომ მათ ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლება ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაში აქვთ: „15 სტუდენტი ამჟამად მთავრობის აპარატში მუშაობს. უნივერსიტეტის მერხიდან პირდაპირ სახელმწიფო სამსახურში მუშაობის დაწყება ძნელია. ამისათვის ერთგვარი პრაქტიკაა საჭირო“.

კითხვებზე პასუხი იმ სტუდენტებმაც მიიღეს, რომლებიც ახალ პროექტებზე მუშაობენ.

აკაკი გვიანიძის პროექტი საქართველოში პროზისა და პოეზიის განვითარებას და ხელშეწყობას ეხება. ახალგაზრდების სურვილია, მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმაც მიიღონ.

უცხო ენების მცოდნე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ იმ გაცვლითი პროგრამებით ისარგებლონ, რომელთაც განათლების სამინისტრო და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთად ახორციელებენ. მთავრობის თავმჯდომარე სტუდენტებთან შეხვედრების გაგრძელებას კვლავ აპირებს.

**ნესტან მამუჭაპე**

## საჯარო ლექცია თემაზე: „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოწვევით ცნობილია ამერიკელმა ექსპერტმა უოლტერ რასელ მიდმა საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „აშშ-ს საგარეო პოლიტიკა“. ლექციას რუს-სტუდენტებთან ერთად პროფესორ-მასწავლებლებიც ესწრებოდნენ. ექსპერტმა ამერიკისა და მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაზე ისაუბრა და დასმულ შეკითხვებს უპასუხა. საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს წევრი უოლტერ რასელ მიდი ელექტრონული გაზეთის „ამერიკული ინტერესის“ რედაქტორი და მრავალი წიგნის ავტორია.



## ირანის ელჩი საქართველოში მაჯიდ სამაზადე საბერი უნივერსიტეტს ეწვია



ირანის ელჩი საქართველოში მაჯიდ სამაზადე საბერი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო და სამომავლო თანამშრომლობის განსაზღვრას ისახავდა მიზნად. შეხვედრაზე სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამებისა და ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო პროექტების განხორციელება დაიგეგმა. მხარეთა შეფასებით, ურთიერთ-თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის არსებული კავშირების გაღრმავებას.

## შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 75 წლისაა

უნივერსიტეტის იუბილე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საზეიმოდ აღინიშნა. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორიაზე მიღწევებსა და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელებმა იუბილარ უნივერსიტეტს ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცეს, წარმატებები უსურვეს და სამახსოვრო სანუქრები გადასცეს. საიუბილეო საღამო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემოქმედებითი ჯგუფებისა და ანსამბლ „ბათუმის“ ერთობლივი კონცერტით დასრულდა.



## შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ლიტვის დელეგაცია ეწვია



პროექტის „ლიტვური კულტურის დღეები“ ფარგლებში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ლიტვის დელეგაცია ეწვია. საქართველოში ლიტვის საელჩოს დესპანი ლაურინკუს ტალატ-კელაშა და საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი აუდრიუს მატონისი სტუდენტებს ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობაზე ესაუბრენ. ვილინუსის უნივერსიტეტის პროფესორმა ალოფრედას ბურბლაუსკასმა საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „საქართველო-ლიტვის ურთიერთობები და პერსპექტივები“. ლექციას უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლევან ანთაძე და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.



საქართველოს უნივერსიტეტების რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია

საქართველოს უნივერსიტეტების რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია საქართველოს უნივერსიტეტების რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის მორიგი სხდომა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესზე იმსჯელეს. რექტორთა შეფასებით კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი დოქტორანტის მოსამზადებლად აუცილებელია ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებში არსებული პოტენციალისა და რესურსების გამოყენება. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები მომავალში მაგისტრატურასა და ბაკალავრიატშიც განხორციელდება.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე სტუდენტებს შეხვდა



სასამართლოს გადაწყვეტილებათა საჯაროობა ფარგლებში გაიმართა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე სტუდენტებს შეხვდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოს დანიშნულებას, უფლებამოსილებას და ისტორიას გააცნო. შეხვედრა პროექტის „საქართველოს საკონსტიტუციო

სემიოტიკის პირველი სამეცნიერო კონფერენცია

სემიოტიკის პირველი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ზღვა ენასა და კულტურაში“ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამეცნიერო ჟურნალ „სემიოტიკის“ ორგანიზებით ჩატარდა. ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 50-მდე მკვლევარი ორი დღის განმავლობაში სემიოტიკის აქტუალურ საკითხებზე მუშაობდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ჟურნალ „სემიოტიკის“ მეშვეობით დაიბეჭდება.



ბრანდენბურგის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბრანდენბურგის საპარლამენტო დელეგაციას უმასპინძლა. პარლამენტარები უმაღლესი სასწავლებლის ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტითა და საინჟინრო-ტექნოლოგიური მიმართულებებით დაინტერესდნენ. პოტსდამისა და კობტუსის უნივერსიტეტებთან ერთად დაიგეგმა ერთობლივი სადოქტორო პროგრამებისა და სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების განხორციელება.

„წმინდა ანდრია ჯვარი“ - სულიერების ფესტივალი



თეატრში სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული გამოავლინეს: სიგელ-გუჯრით დაჯილდოვდა ფილმები - „მომდერალი ბერები“ (ტომას ფერენც შმიდტი - გერმანია), „იხარე ორთავ სოფელსა შინა“ (ლუდმილა ნიკიტინა - რუსეთი), „გამოსაღებების ხელოვნება“ (ზვიად მიქელაძე), „ზემო აჭარა“

მართლმადიდებელი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „წმინდა ანდრია ჯვარი“ ბათუმს მესუბედ უმასპინძლა. ფესტივალი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარების ილია მეორის ღირსეული კურთხევითა და ბათუმ-ლაზეთის მიტროპოლიტის დიმიტრის წინამძღოლობით ტარდება დევიზით - „დიდება მაღალთა შინა ღმერთს, მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება“. იგი წელს სეპტიცხოვლის დაარსების 1700 და განახლების 1000 წლისთავს მიძღვნიდა.

(ანასტასია დადუშქელიანი), „მოგზაურობა წმინდა მიწაზე“ (ლევან ქიქავა). სტუდენტური ფილმები - „თოვლიანი მთები“ (ლაშა ფარჯანი), „სამთავროს დედათა მონასტერი“ (მარიამ ადამაშვილი) და „სამშობლო ხარ ჩემი“ (თათია კიკაბიძე და ნონა გუდენიძე).

მისი დამფუძნებელი ასოციაცია „მეოხი“, რომელიც წმინდანების ცხოვრებაზე დოკუმენტურ ფილმებს ქმნის.

ქვეყნის, ერისა და ეკლესიის წინაშე შეტანილი წვლილისთვის თბილისის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა სოკრათი „წმინდა ანდრია ჯვრით“ დააჯილდოვდა. ჩვეულებრივსა და უჩვეულებრივს ერთგული მკურნალები არ დაივიწყეს, ეს ჯილდო წელს სულიკო ინაიშვილს გადაეცა.

ფესტივალის ბათუმში ჩატარება სიმბოლურია, რადგანაც წმინდა ანდრია ქრისტიანობა სწორედ აჭარიდან იქადაგა. ფილმების ღირებულება, რომელიც მაღალმხატვრულობით გამოირჩევა, აკმაყოფილებს ფესტივალის მთავარ მოთხოვნას - კანონიკურობის დაცვა. ქიურის შემადგენლობა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იცვლება. წელს მასში სასულიერო პირებთან ერთად თამარ ბართია და ზაზა ხალვაში ვიხილეთ. ეთნოგრაფიული ფილმები თავისი შინაარსითა და ისტორიით შემეცნებითი ხასიათისა და ამიტომაც, ასეთმა ფილმებმა, წინა ფესტივალზე ქიურისა და მკურნალების ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია. სპეციალური ჯილდოთი ყოველ წელს ვაჯილდოვებთ გარდაცვლილ სასოგადო მოღვაწეებს, რეჟისორებსა და მწერლებს. შარშან და შარშანწინ „წმინდა ანდრია ჯვარი“ გოდერძი ჩოხელსა და თენგიზ აბულაძეს გადაეცემა. წელს კი გადაეცემა ვეიტო, ეს ჯილდო ოთარ ჭილაძესა და ზურაბ გორგილაძეს მივაკუთვნეთ. ფესტივალზე გამარჯვებული ფილმების ჩვენება ქვეყნის მასშტაბით მოეწეობა, - განაცხადა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ნანა ვერულაშვილმა.

ფესტივალის მთავარი პრიზით „წმინდა ანდრია ჯვარი“ დაჯილდოვდა ფილმები: საუკეთესო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი - „ნუბიურ ჯოჯოხეთში შთახვლა“ (რეჟისორი ეკი ლუბახი - პოლონეთი), საუკეთესო ტელეპროექტი - „დავით არსენიშვილი“ (რეჟისორი ნიკა არსენიშვილი). ქიურის სპეციალური პრიზი გადაეცა ფილმს „მთავარი როლი“ (რეჟისორები - ვიტალი ლუბეცკი და ნატალია გონჩაროვა).

22 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ

ასოციაცია „მეოხმა“ ფილმის „ტოკლარჯეთის“ რეჟისორი ზურაბ ქავთარაძე და მთელი გადაღები ჯგუფი სპეციალური პრიზით დააჯილდოვა. საინფორმაციო თანადგომისთვის ფესტივალის სპეციალური სიგელი გახდა „აჭარის“ რედაქციასაც ერგო.

ფესტივალის სახეიშო დახურვის ცერემონიის შემდეგ თინა ჭაბუკიანის ფილმის „ხილული სასწავლის“ ჩვენება გაიმართა.

ფესტივალის ორგანიზატორთა განცხადებით, გამარჯვებული ფილმის კვირეული უახლოეს მომავალში საქართველოს ყველა ეპარქიასა და ინგლისში, კერძოდ, ლონდონში გაიმართება.

მაიკო რუხაძე, ჟურნალისტიკის სპეციალისტის III კურსი

ფრიდონ სიხარულიძე

დღევანდელი ჩვენი მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრების პირობებში მეტად სამწუხარო და გულსატკეპნიან დეპრესიულ მოსილი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ჩვენი უფროსი კოლეგისა და მეგობრის ფრიდონ სიხარულიძის გარდაცვალება. სავალალოა, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ბათუმელმა ისტორიკოსმა სათანადოდ ვერ დავაფასეთ მისი დეპრესიული ჩვენი კუთხის, უნივერსიტეტის და განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის კათედრის წინაშე. ბატონი ფრიდონი ნამდვილად ღირსი იყო რომ ჩვენ სათანადოდ აგვეღნიშნა მისი 70 წლის იუბილე. განსაკუთრებული მადლობის ღირსია ბატონი იური ბიბილეიშვილი და ჩვენი უნივერსიტეტის გაზუსთი, რომლებმაც თავიანთი საიუბილეო წერილებით სათანადო პატივი მიაგეს ბატონ ფრიდონს.



ბატონი ფრიდონი იყო უბრალო, თავაზიანი, ადამიანებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით აღსავსე პიროვნება. არავის შეუწყებდა არ უწყობდა. და უდავლა შრომაში, სამთარ-ზაფხულ ერთუბრალო პერანგსა და გახუხუხებულ პალტოში გაატარა მთელი მისი შეგნებული ცხოვრება. მეცნიერებაზე გულით შეყვარებულმა არქივარიუსმა მთელი ცხოვრება სიძველთ-საცავებში ახალადმოჩენებსა და გამოკვლევებს მიუძღვნა. ბათუმელთა მეგობარს და თვით ბათუმელს, პროფესორ ფრიდონ სიხარულიძეს ბევრი რამ გაუკეთებია ჩვენი უნივერსიტეტისათვის. იგი ბათუმის პედინსტიტუტის აღზრდილი იყო. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გამოუჩენია თავი მეცნიერული მუშაობით. დიდი მოწონება ხვდა წილად მის ნაშრომებს: „იერუსალიმის ჯვრის

მონასტრის მამულები აჭარაში“ და „ბათუმში 1921 წლის მარტში“ (ხელმ. პროფ. პარმენ ცქვიტარია) ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი წლების განმავლობაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა მაღალმთიანი აჭარის სოფელ დიოქისისა და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოს საშუალო სკოლებში. 1965 წლიდან თბილისში სწავლების გაცემისთვის და შემდეგ მუშაობის პერიოდში მას არ გაუწყვეტია ურთიერთობა ბათუმთან. პროფ. იური და ფრიდონ სიხარულიძეების ოჯახთან განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდა პროფ. აბელ სურგულაძეს. ბატონი აბელის უშუალო ხელმძღვანელობით ფრიდონ სიხარულიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმის სინამდვილეში საქართველოს ისტორიის კათედრის აღმშენებლობის საქმეში. მისი უშუალო ხელშეწყობით ბათუმში პირველად მოეწყო ასპირანტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია. მან ბევრ ახალგაზრდა მკვლევარს გაუკვლია გზა მეცნიერებაში. მას ქალაქის ქალაქთან, კუთხის კუთხესთან, ადამიანის ადამიანთან დამეგობრების დიდი უნარი გააჩნდა. ბატონი ფრიდონი ნაყოფიერი მკვლევარი იყო. მისი კალამს ეკუთვნის არაერთი მონოგრაფია, მრავალი სამეცნიერო სტატია თუ წერილი. მისი მეცნიერული კვლევა-ძიების სფერო ფართოა, მას აქვს

მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართული კულტურის ისტორიაში, ეპისტოლოგიაში, ონომასტიკაში, მხარეთმცოდნეობაში, არქეოლოგიაში, საისტორიო გეოგრაფიაში და ა.შ. საქართველოსა და რუსეთის ისტორიულ არქივებში ხანგრძლივი, დაუღალავი მეცნიერული მუშაობის, მდიდარი საარქივო დოკუმენტების გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე მან ფუნდამენტური ნაშრომები დაგვიტოვა სახელგანთქა არსებული ქართული კულტურის კერების ისტორიის, სამშობლოდან დაშორებით უცხოეთში მოღვაწე ქართველი მამულიშვილების ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. ბატონ ფრიდონს დიდად უყვარდა მისი საქმე. იგი არ ტოვებდა არცერთ კონფერენციას, საიუბილეო საღამოს თუ საქმიან შეხვედრას და ყველგან თავის სათქმელს ამზობდა. იგი გულიანი კაცი და კარგი მეგობარი იყო. პროფესორ ფრიდონ სიხარულიძეს ბევრი სასიკეთო საქმე გაუკეთებია. გავაღწერო და ალბათ თავის ადგილს იპოვის და დაფასდება მისი დაუღალავი შრომის შედეგი. დამერთმა ადიდოს ამ უნგარო, დაუღალავი მეცნიერ-მკვლევარის და კარგი ადამიანის სახელები.

კოლეგები და მეგობრები

# მშრომლისთვის დეკარტამენტი

ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში უცხოური ენებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრის შექმნა დაკავშირებული იყო რუსული ენისა და ლიტერატურის პროფილის გაფართოებასთან. 1958 წელს შეიქმნა რუსული ენის, ლიტერატურისა და უცხოური ენების სპეციალობა. რაც რესპუბლიკის სკოლების უცხოური ენების მასწავლებლებით დაკომპლექტების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ამიტომ 1958 წელს რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრას გამოეყო უცხოური ენებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრა, რომელიც ამჟამად რუსული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების სპეციალისტებს.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გაიხსნა საღამოს განყოფილება, სადაც სპეციალისტების მომზადება ხდებოდა მხოლოდ უცხოურ ენებში. უნდა აღინიშნოს, რომ კათედრაზე 1956 წლიდან მუშაობდნენ როგორც გამოცდილი, ასევე ახალგაზრდა სპეციალისტები: მარია ხუციევა, ლარისა მუატი, ნინა ლუკმანი, ფედა ვასილევა, თორ ფარეიშვილი, მინიკო ჩიჯავაძე, ქეთევან ჯაფარიძე, ციალა მდინარაძე, პავლე ჯორბენაძე, გულნარა ომიადე, რუსუდან ბეჟანოვა, ნათელა პაპავა.

კათედრის პირველი ხელმძღვანელი იყო **დათო ჩავლეიშვილი**. 1949 წლიდან ის მუშაობდა უცხოეთთან საქართველოს კულტურული ურთიერთობის საზოგადოების რეფერენტად. 1950 წელს ჩაირიცხა საკავშირო აკადემიის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1954 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად. 1958-1962 წლებში ხელმძღვანელობდა უცხოური ენებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრას.

1962-1972 წლებში კათედრის გამგედ მუშაობდა **თორ ფარეიშვილი**. მას დიდი წვლილი მიუძღვის კათედრის დაკომპლექტების, კაბინეტის შექმნისა და მოწყობის, სწავლების სრულყოფისა და მართვის საქმეში. იგი წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს საზღვარგარეთის ლიტერატურაში და ასწავლიდა ინგლისურ ენას. თ. ფარეიშვილს გამოქვეყნებული აქვს 20 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი და გამოქვეყნებული მონოგრაფია "ჰემინგუეი" (1973) და "ნარლზ დიკენსი" (1962).

1972 წელს უცხოური ენებისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის კათედრის გამგედ არჩეული იქნა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. **პავლე ჯორბენაძე**, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1958 წლიდან დაიწყო მუშაობა უცხოური ენებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის მასწავლებლად. 1970 წელს აკად. გ. ჯიბლაძის ხელმძღვანელობით ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე "რომანის პრობლემა". ის თავდაპირველად ასწავლიდა გერმანულ ენას, ხოლო შემდეგ წლების მანძილზე კითხულობდა ლიტერატურათმცოდნეობისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კურსს. დოც. პავლე ჯორბენაძე წლების განმავლობაში იყო გერმანიასთან საქართველოს მეგობრობის აჭარის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის მწერალთა კავშირის კრიტიკოსთა საბჭოს წევრი, არჩეული იყო მეცნიერებათა აკადემიის ესთეტიკის საბჭოს წევრად, აკადემიკოს გ. ჯიბლაძის რედაქტორობით გამოაქვეყნა ორი მონოგრაფია: "რომანის თეორიის საკითხები" (1970) და "რომანტიზმის სათავეებთან" (1984), მათ შორის 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატია.

წლების განმავლობაში დოც. პავლე ჯორბენაძე აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ პრესაში. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სტატია სოციოლოგიის, ხელნაწებისა და ლიტერატურის საკითხებზე. მუშაობდა სადოქტორო ნაშრომზე "რომანტიზმის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები". ის დაჯილდოებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს და უნივერსიტეტის საპატიო სიგელებით.

უფროსი მასწავლებელი - **ციალა მდინარაძე** ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტში წლების განმავლობაში მუშაობდა

გერმანული ენის მასწავლებლად. ამ ხნის მანძილზე ის ეწეოდა, როგორც პედაგოგიურ, ასევე მეთოდურ და სამეცნიერო მუშაობას. ის არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, აქედან 9 გამოქვეყნებულია ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში. 1989 წელს მან კვალიფიკაცია აიმაღლა ენის უნივერსიტეტთან არსებულ გერმანისტთა საერთაშორისო კურსებზე ქ. ვაიმარში. წლების მანძილზე იყო მეთოდ-გაერთიანების ხელმძღვანელი.

1983-1985 წლებში უცხოური ენებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრას სათავეში ჩაუდგა უფროსი მასწავლებელი **მინიკო ჩიჯავაძე**. მან 1955 წელს დაამთავრა მ. გორუხის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. 1956 წლიდან მუშაობდა დაიწყო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უცხოური ენებისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის კათედრაზე, ჯერ მასწავლებლად, ხოლო შემდეგ უფროს მასწავლებლად. 1982 წელს მიენიჭა აჭარის არ დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მას გამოქვეყნებული აქვს 13 სამეცნიერო ნაშრომი.

1983 წლიდან 1988 წლამდე კათედრის გამგედ მუშაობდა უმ **გულნარა ომიადე**. მან 1972 წელს დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტთან არსებული ორწლიანი უმაღლესი პედაგოგიური კურსები, რომელიც ამზადებდა სპეციალისტებს უმაღლესი სასწავლებლებისათვის და მიენიჭა უმაღლესი სკოლაში მუშაობის უფლება.

1989 წლიდან 1991 წლამდე კათედრის გამგე იყო დოც. **ნოდარ ჭყონია**, რომლის

**ახალაძე, ლამარა მიმინოშვილი, ცისანა რუსიძე, რეზო ფარცვანი, ვენცია ფილოშვილი, ჯანა ფაღავა, და სხვები**. მათ დიდი წვლილი შეიტანეს უცხოური ენის სწავლების საქმეში, მოველ გამოცდილებას, ცოდნას და უნარს ახმარდნენ განათლებული სპეციალისტების აღზრდას. მოგვიანებით, კათედრაზე მუშაობა დაიწვეს ახალგაზრდა ნიჭიერმა პედაგოგებმა: დოქტორანტმა **თამარ სირაძემ, ფილოლოგიის დოქტ. მარინა სიორიძემ, ფილოლოგიის დოქტ. ნათია ქათამაძემ, ფილოლოგიის დოქტ. ლალი თავაძემ, მერი მახარაძემ, ფილოლოგიის დოქტ. თინათ თვლრაძემ, ფილოლოგიის დოქტ. თამილა მიქელაძემ, ფილოლოგიის დოქტ. ზეინაბ გვარიშვილმა, ფილოლოგიის დოქტ. ცირა ჭყონიამ, ფილოლოგიის დოქტ. თამარ დოლიძემ, ფილოლოგიის დოქტ. თამილა დავითაძემ, ფილოლოგიის დოქტ. ხათუნა ბერიძე, ფილოლოგიის დოქტ. იულია გორჯელაძემ, ფილოლოგიის დოქტ. ივლია დიასამიძემ, ხათუნა დიასამიძემ, ეკატერინე მუგანაძემ, ნატალია სალუქვაძემ, თამარ მგელაძემ, ინგა ბადალიანმა, მია ტაკიძემ, ირმა დავითაძემ, ნინო კვანტალიანმა, თინო კვაჭაძემ, თინიკო ფირცხალაშვილმა, ნატო ჩაჩავამ, მაგული ბოლქვაძე, მირანდა გორგოშიძემ, თინა ბერიძემ, ფილოლოგიის დოქტ. ნელი ახვლედიანმა, მთავრისა კვიციანიამ, გულნარა გათენაძემ, ირმა ცენტრეაძემ, ირმა დავითაძემ, ნინო მერტრეულმა, ია თურმანიძემ, ნათია ხაბიშვილმა და სხვ.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია დეპარტამენტის სპეციალისტის **ლელა შაქარიშვილის** თავდადებული მუშაობა. ის

მანიაში, რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დეპარტამენტი ზრუნავს უცხოური ლიტერატურით, თანამედროვე სახელმძღვანელოებითა და სამეცნიერო ლიტერატურით ბიბლიოთეკის გამდიდრებისათვის. 1997 წელს ინგლისური ენის კათედრამ "ლი საზოგადოება-საქართველოს" ფონდში წარადგინა პროექტი სამკითხველო დარბაზის შექმნის შესახებ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (პროექტის ავტორი და დირექტორი დოც. ირინე გომსხეთელიანი და პროექტის მენეჯერი უმ ცირა გამცემლიძე), რომელმაც გაიმარჯვა. დაახლოებით 1000 წიგნი გადაეცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა მდიდრდება ამერიკის, ბრიტანეთის, საფრანგეთის და გერმანიის საელჩოების მიერ საჩუქრად გადმოცემული ლიტერატურით. 2008 წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამერიკის საელჩოს დახმარებით შეიქმნა ამერიკანისტიკის კაბინეტი.

დეპარტამენტს მჭიდრო კონტაქტები აქვს რეგიონის სკოლებთან და პედაგოგებთან, რომლებთანაც ატარებენ მეთოდურ სემინარებს. ანგლისტიკის სპეციალისტის ყველა პროფესორი არის საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის (ETAG) წევრი.

დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად ეწევიან სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. გამოცდილი პედაგოგების გვერდით მუშაობენ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და თრეინინგებში. 2007 წელს სადოქტორო დისერტაციები წარმატებით დაიცვეს ნათია ქათამაძემ, მარინა სიორიძემ და თამილა მიქელაძემ, ხოლო 2008 წელს სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს: ჟუჟუნა გუმბარიძემ, ზეინაბ გვარიშვილმა, ცირა ჭყონიამ, ლალი თავაძემ, თამარ დოლიძემ, ნინო აროშიძემ, ივლია დიასამიძემ, ნანა მაზიშვილმა, თამილა დავითაძემ, ნინო დონდოლაძემ, იულია გორჯელაძემ, ნელი ახვლედიანმა, ხათუნა ბერიძემ.

დეპარტამენტში **ოთხი** პროგრამული მიმართულებაა: **ანგლისტიკის, გერმანიისტიკის, რომანისტიკის და ნეოგერციისტიკის**. დეპარტამენტში მოქმედებს:

**ოთხი საბაკალავრო პროგრამა:**

ინგლისური ენისა და ლიტერატურა; გერმანული ენისა და ლიტერატურა; ფრანგული ენისა და ლიტერატურა; ბერძნული ენისა და ლიტერატურა;

**სამი სამაგისტრო პროგრამა:**

ინგლისური ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია.

**ერთი პროფესიული განათლების პროგრამა:**

მთარგმნელ-რეფერენტის

**ანგლისტიკის პროგრამული მიმართულება:**

ინგლისური ენის, ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორიების კვლევას და სწავლებას დიდი ტრადიცია აქვს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კვლევა მიმდინარეობს ორი მიმართულებით: ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა.

პროგრამული მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები მუშაობენ ენათმეცნიერებაში (ანგლისტიკა). მათი კვლევის სფეროებია:

პროფ. ირინე გომსხეთელიანი, ასოც. პროფ. ნინო დვლიძე, ასისტ. პროფ. თეა შავლაძე, ასისტენტ პროფესორი ნათია ქათამაძე, ასისტენტ პროფესორი ჟუჟუნა გუმბარიძე, ასისტენტ პროფესორი ლალი თავაძე, ასისტენტ პროფესორი ცირა ჭყონია, ასისტენტ პროფესორი თამარ დოლიძე, უმ თინათ თვლრაძე, მუშაობენ ფრანგულენოვანობაში ლინგოკულტუროლოგიაში, დისკურსის ანალიზში, სემანტიკაში, პრაგმატიკაში, ტექსტის ლინგვისტიკაში, თეორიულ გრამატიკაში.

უფროსი მასწავლებელი, დოქტორი ზურაბ ბეჟანოვი, ასისტენტ პროფესორი ზეინაბ გვარიშვილი მუშაობენ სოციო-ლინგვისტიკაში და დიაქრონიკაში.

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიძე, ასისტენტ პროფესორი-ნინო აროშიძე, ნანა მაზიშვილი, თათია ნაკაშიძე, უმ. დოქტორი თამილა მიქელაძე, დოქტორან-



დროსაც მოხდა კათედრის შევსება ახალგაზრდა კადრებით.

1991-1996 წლებში უცხოური ენებისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის კათედრის გამგედ არჩეულ იქნა დოცენტი **ირინე გომსხეთელიანი**. 1996 წელს კათედრა გაიყო ინგლისური ფილოლოგიისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის (გამგე დოც. ი. გომსხეთელიანი); გერმანული ფილოლოგიის (გამგე მ/კ ა. აბუსერიძე); ფრანგული ფილოლოგიის (გამგე მ/კ ვ. დიასამიძე) კათედრებად. კათედრის დაბო-რანტი იყო ნინო კორტავე.

1997 წ. საუნივერსიტეტო რეფორმის შედეგად სწავლების ორსაფეხურიან სისტე-მაზე (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) გადასვლამ ახალი ამოცანები დაუსახა კათედრას, რომელიც აქტიურად მუშაობდა სადოქტორო კურსების დაშუქებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ამ პერიოდის დეპარტამენტში მუშაობენ გამოცდილი პედაგოგები: **დოცენტი პავლე ჯორბენაძე, ფილოლოგიის დოქტორი ნინო დვლიძე, ფილოლოგიის დოქტორი ზურაბ ბეჟანოვი, ფილოლოგიის დოქტორი ნანა ბოლქვაძე, ფილოლოგიის დოქტორი ანზორ აბუსერიძე, ფილოლოგიის დოქტორი ნანა სტამბოლიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი ნატალია სურგულაძე, ფილოლოგიის დოქტორი ექტორია დიასამიძე, ფილოლოგიის დოქტორი დინარა ფაღავა, უფროსი მასწავლებლები: რუსუდან ბეჟანოვა, ნელი კუხალაიშვილი, ცირა გამცემლიძე, ციალა მდინარაძე, მანანა ჩიტაიშვილი, ნათელა პაპავა, გულნარა ომიადე, მასწავლებლები: ნანა სოსელია, ოლეგ ფრუიძე, მანანა მითაიშვილი, ნანა**

დღემდე ერთგულად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

2006 წელს ინგლისური, გერმანული, ფრანგული ფილოლოგიის და ნეოგერციისტიკის კათედრები გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ევროპისტიკის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა სრული პროფესორი **ირინე გომსხეთელიანი**. დეპარტამენტში შეიქმნა ოთხი პროგრამული მიმართულება: ანგლისტიკის (ხელმძღვანელი სრული პროფესორი ირინე გომსხეთელიანი), გერმანიისტიკის (ხელმძღვანელი სრული პროფესორი ნანა ბოლქვაძე), რომანიისტიკის (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნატალია სურგულაძე), და ნეოგერციისტიკის (ხელმძღვანელი სრული პროფესორი მ. გიორგაძე).

2008 წელს უნივერსიტეტი გადავიდა სამსაფეხურიან სწავლებასზე. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს დაემატა დოქტორანტურა. დეპარტამენტში განახლდა და ხელმძღვანელად გადაამუშავდა არსებული პროგრამები. დაიწერა ახალი პროგრამები როგორც დოქტორანტურის სათვის, ისე თარჯიმან-რეფერენტის პროფესიული უმაღლესი განათლებისათვის. დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასწავლო-მეთოდურ მუშაობას, ამუშავებს პროგრამებს, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში, ასევე არასპეციალური ფაკულტეტებისათვის.

დეპარტამენტში მუშაობა მიმდინარეობს, როგორც სამეცნიერო, ისე სასწავლო-მეთოდური მიმართულებით. დეპარტამენტი მასწავლებლებმა კვალიფიკაცია აიმაღლეს სხვადასხვა კვებაში: ინგლისში, ავსტრიაში, საფრანგეთში, გერ-



ტები შოთა როდინაძე, ირინა ბრუნჯაძე მუშაობენ თარგმანის თეორიაში.

**ანგლისტიკის** მიმართულებით 11 დოქტორანტი. ისინი მუშაობენ ლინგვოკულტუროლოგიაში, სემანტიკაში, დისკურსის ანალიზში, სოციოლინგვისტიკაში, ტექსტის ლინგვისტიკაში.

2006 წლიდან დღემდე დეპარტამენტში მომზადდა 50 მაგისტრზე მეტი, რომლებიც აქტიურად განაგრძობენ პროფესიულ საქმიანობას. ბევრი მათგანი ჩვენი უნივერსიტეტის დოქტორანტი.

2008-2009 სასწავლო წლებში რუსთაველის ფონდში წარდგენილი იქნა საგრანტო თემა „ენობრივი გარემოს კომპენსატორული მოდელირება კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ვიზუალიზაციის მეთოდების გამოყენებით“. მიუხედავად იმისა, რომ გრანტი არ დაფინანსდა დეპარტამენტი აგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას.

ანგლისტიკის პროგრამული მიმართულებების მასწავლებლები აქტიურად აგრძელებენ სამეცნიერო მოღვაწეობას, რაზეც მეტყველებს მათ მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიების რაოდენობა. ისინი ასევე მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში და თრეინინგებში, მათ მიღებული აქვთ სერტიფიკატი.

ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გამოცდილ და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი მასწავლებლების წვლილი დარგის განვითარების საქმეში: **სრული პროფესორი ირინე გომეზოვლიანი** შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს 1988 წლიდან. 2006 წლიდან ის ხელმძღვანელობს ევროპეისტიკის დეპარტამენტს. ის არის 15 სამაგისტრო შრომის და 3 დოქტორანტის ხელმძღვანელი. მან 2009 წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოაქვეყნა „ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის“ სალექციო კურსი, რომელშიც აღწერილია ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის ძირითადი საკითხები. მას გამოცემული აქვს ოცდახუთამდე სამეცნიერო სტატია ინგლისური ენის ფრაზეოლოგიაში, სემანტიკაში, პარემიოლოგიაში, ლინგვოკულტუროლოგიაში და დისკურსის ანალიზში. 2001-2003 წლებში ის მონაწილეობდა ტემუს-ტასისის პროექტში “ხარისხის მართვის უზრუნველყოფის ცენტრების ჩამოყალიბება და სასწავლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება”, რომლის ფარგლებში სტაჟირება გაიარა ნოტინგემის ტრენტის და შევედის ლუნდის უნივერსიტეტებში. პროფესორი ირინე გომეზოვლიანი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში. ის წლების განმავლობაში ერთვულადა ემსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

**ასოციირებული პროფესორი ნინო დვალაძე** შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს 1987 წლიდან. 2001 წლის იანვარში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პუბლიცისტური ტექსტის თხრობითი დინამიკის ლინგვისტური ორგანიზაცია (ინგლისურენოვანი ესეს მასალაზე)“ და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ამჟამად ის არის 2 დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით ორმა ათეულმა მაგისტრმა დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი. ნინო დვალაძე გამოქვეყნებული აქვს 8 სამეცნიერო სტატია. 2009 წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა მისი მონოგრაფია „ტექსტის ლინგვისტიკასთან დაკავშირებული პრობლემები“. **ასოციირებულმა პროფესორმა ხათუნა ბერიძე** 1997-დან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტში მას გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო სტატია; მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციებში. თარგმნილი აქვს 7 პროზაული ნაწარმოები. მიღებული აქვს შემდეგი გრანტები: 1. შვედეთის კორპუსი - ტრუმენ ქეფობის ნოველის „საუზმე ტიფანებთან“ გამოცემისათვის; 2. ღია საზოგადოება საქართველო“ ფაკულტეტის წევრის განვითარების პროგრამა; 2009 წელს გაიარა სტაჟირება აშშ ილინოისის შტატის უნივერსიტეტში, თარგმანის საერთაშორისო ცენტრში.

**ფილოლოგიის დოქტორი, უმ ზურაბ ბეჟანოვი** 2002-2006 იყო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტი, ხოლო 2006-2009 წლებში - ასოციირებული პროფესორი; ის იყო ანგლისტიკის პროგრამის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის საგარეო საქმეთა სამსახურის უფროსი. ის არის 8 მაგისტრის 2 დოქტორანტის ხელმძღვანელი; რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის, პუბლიკაციის (ნაბეჭდ და ონლაინ ფორმატში) ავტორი. ხ. ბეჟანოვი არის “რედიტორნარე” (მოძავლის ლექსიკონი) საერთაშორისო ინტერნეტ-პროექტის მონაწილე, 12 ფუტუროლოგიის ავტორი. ის არის “ნოლ“-ის ონლაინ-ენციკლოპედიის პროექტის მონაწილე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი გამოცდილი პედაგოგების წვლილი, როგორცაა: **რუსუდან ბეჟანოვა**, ნელი კუხალიაშვილი, ცირა გამცემლიძე, ნანა სოსელია. მათ დიდი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. მასწავლებელი რუსუდან ბეჟანოვა თბილისის უცხოური ენების ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1968-2008 წლებში ასწავლიდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1988 წ. მან გაიარა სტაჟირება დიდი ბრიტანეთის ოქსფორდის უნივერსიტეტში. ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კათედრის მეთოდურ სემინარს. მას გამოქვეყნებული აქვს 6 სამეცნიერო სტატია.

მასწავლებელმა **ნელი კუხალიაშვილმა** პიატიკორსკის უცხოური ენების პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1970-75 წ.) სწავლა გააგრძელა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებელთა ორწლიან კურსებზე და მიიღო ინგლისური ფილოლოგიის ლექტორის სერტიფიკატი (1984-86 წ.). 1993-1996 წ.წ. ის მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროს მასწავლებლად. 1996-2007 წლებში ის მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროს მასწავლებლად. 2003 წლიდან არის ETAG თრეინერი. 2007 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციას (ETAG) ბათუმში. ის დაუღალავად ემსახურება ინგლისური ენის მასწავლებელთა დახვედრების საქმეს.

მასწავლებელი **ცირა გამცემლიძე** 1974 წ. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დღემდე მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის მასწავლებლად. ის დაუღალავად და ერთვულადა ემსახურება ახალგაზრდა სპეციალისტის აღზრდის საქმეს. უფროსი თაობის მიერ დაწესებული კეთილშობილურ საქმეს დირსეული გამგრძელებლები გამოუჩნდნენ ახალგაზრდა თაობის სახით. ისინი ცდილობენ ერთმანეთს შეუთავსონ პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა. მათ შორისაა: **ასისტენტ პროფესორი თეა შავლაძე** 2001 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2006 წ. დაიცვა ხარისხი ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ენა და კულტურის სპეციალობა) თემაზე “სინქსთეტიკური აღქმის ვერბალური გამოხატულება როგორც კულტურული ფენომენი (ინგლისური, ქართული, რუსული, გერმანული და იტალიური ენების მასალაზე)”

მასწავლებელმა **ნელი კუხალიაშვილმა** პიატიკორსკის უცხოური ენების პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ



ენის მასწავლებლად. 2006 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „პრესუპოზიციის პრაგმატული და სემანტიკური მახასიათებლები ინგლისური ენის მასალაზე“ (ხელმძღვანელი პროფესორი მადონა მეგრელიშვილი). ის არის 12 სამეცნიერო სტატიის ავტორი და გავლილი აქვს შემდეგი მეთოდოლოგიური კურსები: More earning, Less Teaching, Modern English Language Tethodology Course, Developing Writing Skills, Developing Academic Writing Skills, Newly ualified Teachers, Teaching Knowledge Test.

**ასისტენტ პროფესორმა შუშუნა გუმბარიძემ** 2009 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე დისკურსის პრაგმატიკა როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ვერბალურ/არავერბალური განზომილებანი (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე) (ხელმძღვანელი პროფ. მადონა მეგრელიშვილი). მას გამოქვეყნებული აქვს 7 სტატია სხვადასხვა რეცენზირებად ჟურნალებში. 2005 წელს მას მიენიჭა ტრენერის კვალიფიკაცია ტრეინიგ-კურსში – ენობრივი განვითარება ინგლისური ენის მასწავლებელთათვის (ინგლისური ენის სრულყოფა).

**ასისტენტ პროფესორი ლალი თავაძე** 2000 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის მასწავლებლად. 2009 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „დროის ბა ადგილის დიქსიონი როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ვერბალური ინგლისურ ენაში“ (ხელმძღვანელი პროფ. მადონა მეგრელიშვილი). **ასისტენტ პროფესორი თამილა დავითაძე** 2006 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო სტატია სხვადასხვა

(ხელმძღვანელი პროფ. მ. ნათაძე). მას გამოქვეყნებული აქვს 13 სამეცნიერო სტატია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 სამაგისტრო შრომა.

**ასისტენტ პროფესორმა თამარ სირაძემ** 1989 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობა. 1992 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის, ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის პედაგოგად. მას გავლილი აქვს სტაჟირება ოქსფორდის და ბირმინგემის უნივერსიტეტებში; მიღებული აქვს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების გრანტები (ბუდაპეშტი, სტამბული, ნიუ-იორკი); ის მონაწილეობს საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში ინგლისური ენის მეთოდოლოგიისა და ანგლო-ამერიკული ლიტერატურის კვლევის სფეროში; გამოქვეყნებული აქვს 3 სტატია ამერიკანისტიკის სფეროში; ფლობს ინგლისური ენის უმაღლესი დონის საერთაშორისო სერტიფიკატს Cambridge Certificate of Proficiency in English; არის რსუ ამერიკანისტიკის ცენტრის დირექტორი და რსუ უცხოური ენების შესწავლის ცენტრ “გლოსას” დირექტორი.

**ასისტენტ პროფესორი ნათია ქათამაძე** 2001 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური

რეცენზირებად ჟურნალებში, არის სახელმძღვანელო ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო სა და მონოგრაფიის “ფრანგული დეკადანსის პოეზია ქართველ ცისფერანწველთა შემოქმედებაში” ავტორი.

**ასისტენტ პროფესორი თამარ დოლიძე** 2005 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის მასწავლებლად. 2009 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე “ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სტილის თავისებურებანი” (ხელმძღვანელი პროფ. მადონა მეგრელიშვილი). 2007 წლიდან დღემდე ის მუშაობს აჭარის მთავრობის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად.

**ასისტენტ პროფესორმა ცირა ჭყონამ** 1999 წელს მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის მასწავლებლად. 2009 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე “ფრანგული ხმების პრაგმატიკული ანალიზი” (ხელმძღვანელი პროფესორი თამარ ჯავახიშვილი). მას გამოქვეყნებული აქვს 6 სამეცნიერო სტატია სამეცნიერო ჟურნალებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი მეთოდოლოგიური ტრეინინგები.

**ასისტენტ პროფესორი ზეინაბ გვარიშვილი** 1998 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2009 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე “ინტერნეტის ენაში გამოყენებული რელიგიური ლექსიკის პრაგმატიკის სტრუქტურული ანალიზი” (ხელმძღვანელი პროფესორი რუსუდან ენუქიძე). მას გამოქვეყნებული აქვს 4 სამეცნიერო სტატია. ის აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებსა და თრეინინგებში.

**ასისტენტ პროფესორი ეკატერინე მგავანაძე** 2000 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2004-2007 წლებში იყო პუბლიცისტური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ის განათლების ფაკულტეტის დოქტორანტიცაა. მას გამოქვეყნებული აქვს ორი სამეცნიერო სტატია და მონაწილეობდა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციის.

**ასისტენტ პროფესორი ნინო არაშვილი** 2004 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2009 წელს დაიცვა დისერტაცია “ენობრივი სურათების განსხვავება სამყაროს კლიშირულ სახეებში”. მას გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო სტატია და არის რამდენიმე კონფერენციის მონაწილე. მას გავლილი აქვს თრეინინგი აკადემიურ წერაში, ბიზნეს ინგლისურში და ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში.

**ასისტენტ პროფესორი თათია ნაკაშიძე** 2006 წლიდან მუშაობს ევროპეისტიკის დეპარტამენტში. მას გამოქვეყნებული აქვს სამი სამეცნიერო სტატია. ის არის პუბლიცისტური მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

**უმ, ფილოლოგიის დოქტორი ივლით დოსამიძე** 1999 წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 2000 წლიდან უწყვეტად მუშაობს ევროპეისტიკის დეპარტამენტში ინგლისური ენის მასწავლებლად. 2009 წელს მან დაიცვა დისერტაცია თემაზე “ტექსტის გაფორმების გრაფიკული საშუალებანი და მათი ინფორმაციულობა.” გამოქვეყნებული აქვს ექვსი სტატია სხვადასხვა რეცენზირებად ჟურნალებში. გავლილი აქვს მეთოდოლოგიური ტრეინინგები. 2009 წლიდან მუშაობს პუბლიცისტური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ.

**უმ, ფილოლოგიის დოქტორი თამილა მიქელაძე** 1997 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ევროპეისტიკის დეპარტამენტში ანგლისტიკის მიმართულების უფროს მასწავლებლად. 2000-2003 წლებში ის მონაწილეობდა The Establishment of Academic Quality Assurance Centres პროექტში, რომლის დონორ ორგანიზაციააც წარმოადგენდა TACIS – TEMPUS -i. 2006 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე “რ.კიპლინი როგორც კულტურათმცოდნე მეთოდოლოგი” მას ამ თემაზე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სტატია.

**თეონა თედორაძე** 1998 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-

სიტყვის ევროპეისტიკის დეპარტამენტში ინგლისური ენის მასწავლებლად. ის არის 4 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. 2005 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია "ასპექტის ფუნქციურსემანტიკური კატეგორია" (ხელმძღვანელი პროფ. მადონა მეგრელიშვილი). მას გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო სტატია.

**უ/მ, ფილოლოგიის დოქტორი ნინო დონდოლაძე** მუშაობს ბათუმის უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად 1993 წლიდან. მონაწილეობდა პროგრამებში: ოქსფორდის უნივერსიტეტის თეოლოგიური გაცვლითი პროგრამა (1999-2000), მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამა (ჩატარდა მონტანის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2002 წ.), ლექტორთა გაცვლითი პროგრამა (ფეაფილდის უნივერსიტეტი, 2009 წ.). 2009 წელს ნინო დონდოლაძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე "უილიამ ფოლკნერის მსოფლმხედველობის გამოხატულება რომანის "აბესალომ, აბესალომ!" წინადადებაში. მას გამოცემული აქვს ხუთი სამეცნიერო სტატია ფოლკნერის პოეტიკის შესახებ.

ახალგაზრდა კადრების მეცნიერულ წარმატებებს ხელს უწყობს კათედრაზე არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობა. სტუდენტების მიერ დამუშავებული თემებში ნათლად ჩანს ახალგაზრდა თაობის ნიჭი და მეცნიერული კვლევის უნარი. სტუდენტური წრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ, როგორც შიდასაუნივერსიტეტო, ისე რესპუბლიკურ კონფერენციებში.

**რომანისტიკის პროგრამული მიმართულება**

ფრანგული ფილოლოგიის კათედრა, რომელიც ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთა სამეცნიერო და პროფესიონალური მომზადების რეგიონალური ცენტრია, 1996 წელს შეიქმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იგი ფუნქციონირებდა 2006 წლამდე. საქართველოს განათლების სისტემაში რეფორმების გატარებასთან დაკავშირებით კათედრები გაუქმდა და ჩამოყალიბდა ევროპეისტიკის (ევროპული ენების) დეპარტამენტი, რომელიც აერთიანებს ანგლისტიკის, გერმანისტიკისა და რომანისტიკის მიმართულებებს.

მრავალი წლის განმავლობაში ფრანგულ ენასა და ლიტერატურას წარმატებულად ასწავლიდნენ ისეთი ღვაწლმოსილი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ ქალბატონი **ნათელა პაპავა** (1964-2003წწ) და **გულნარა ომიანიძე** (1958-1996წწ), ისინი დღიდან დაარსების გარდაცვალებამდე უშურველად გადასცემდნენ თავიანთ ცოდნას მომავალ თაობას. გამოქვეყნებული აქვთ რამდენიმე ათეული ნაშრომი სასწავლო-მეთოდურ სფეროში. ქალბატონი გულნარა ომიანიძე კი 1986-88წწ. ხელმძღვანელობდა ფრანგული ფილოლოგიის კათედრას.

ფრანგული ფილოლოგიის კათედრაზე წლებების განმავლობაში ასწავლიდნენ გამოცდილი თუ ახალგაზრდა მასწავლებლები, ჩვენი სპეციალობის კურსდამთავრებულები: **ნინო ბერაძე, ვენცია ფილოშვილი, რუსუდან ტულუში, ცისანა რუსიძე, მთავრისა კვიციანი** (გამოაქვეყნა პრესის დამხმარე სახელმძღვანელო), **გულნარა გათენაძე** (გამოქვეყნებული აქვს 3 სამეცნიერო-მეთოდური სტატია), **მირანდა გორგოშიძე** ( გამოქვეყნებული აქვს 3 სტატია), დამსახურებული პედაგოგი და მთარგმნელი **ნანა ახალაძე** (გამოაქვეყნა მრავალი სტატია, ფრანგ კლასიკოსთა ნაწარმოებების ქართული თარგმანები), **ნესტან ნაკაშიძე, ნესტან ბოლქვაძე, მარიკა ლორთქიფანიძე, მინდია ბერიძე, თამარ გოგუაძე, მარეხი გორგილაძე, ირმა ცენტერაძე, თეა ოქროპირიძე, ეკა აბესაძე, სოფიო მილორავა, ლია შაქარაშვილი, მაგდა ინწკირველი და სხვები.**

ასოცირებულმა პროფესორმა, ფილოლოგიის დოქტორმა **ნატალია სურგულაძემ** დაიცვა **საკანდიდატო დისერტაცია 2005 წლის 27 იანვარს თემაზე: "ზოონიმთა და ანიმალურ სომატიზმთა შემცველი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ და ქართულ ენებში"** 10.02.05.სპეციალობით რომანული ენები. მეცნ.ხელმძღვანელი პროფ. ციური ახვლედიანი. მას მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2006 წ. უნივერსიტეტში გამოცხადებული კონკურსით ის არჩეულ იქნა ასოცირებულ პროფესორად, 2009 წ. კონკურსით ის კვლავ იქნა არჩეული ასოცირებულ პროფესორად. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია **"ზოონიმთა და ანიმალურ**

**სომატიზმთა შემცველი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ და ქართულ ენებში"** ("შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი, 2009წ., ISBN 978-9941-409-37-0), დამხმარე სახელმძღვანელო (ზოონიმებისა და ანიმალური სომატიზმების შემცველი ფრაზეოლოგიზმების სისტემა ფრანგულ ენაში – ბათუმი, "ბათუმის უნივერსიტეტი", 2005წ., ISBN 99940-25-91-0) და სახელმძღვანელო(რომანული ფილოლოგია – "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი, 2009წ., ISBN 978-9941-409-98-1). იგი 5 ადგილობრივი და 3 საერთაშორისო კონფერენციების მონაწილეა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების "ფილოლოგიური მეცნიერებანი" რედაქციის წევრია. ასოც. პროფესორის ნანა სტამბოლიშვილის "გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის" რედაქციის წევრია. პრაქტიკული ფონეტიკის სალექციო კურსი (ავტორი: აბაშიძე ნათია) ფრანგულ ენაში- Cours pratique de la phonétique française, სახელმძღვანელოს რედაქტორია. არის 2010 წლის ივნის-ივლისში ექსპანეთის გრანადის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციის გამარჯვებული და მონაწილე-მომხსენებელი "ინტერლინგვისტური და ინტერკულტურული პერსპექტივები ფრაზეოლოგიაში და პარეფრაზოლოგიაში"- EUROPHRAS 2010 PERSPECTIVES INTER-LINGUISTIQUES ET INTER-CULTURELLES EN PHRASEOLOGIE ET PARE-



**MIOLOGIE** (ესპანეთი, გრანადა). 2008-09წწ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრია. 2007წელს მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის საპატიო სიგელი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. არის 10 სამაგისტრო ნაშრომის, მრავალი საბაკალავრო ნაშრომისა და 1 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. გაიარა პროფესიული სტაჟირება საფრანგეთში და სისტემატიურად მონაწილეობს საფრანგეთის მიერ ორგანიზებულ მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდურ ტრენინგებში.

ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი მარინე სიორიძეს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია. გაიარა პროფესიული სტაჟირება საფრანგეთში და აქტიურად მონაწილეობს საფრანგეთის მიერ ორგანიზებულ მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდურ ტრენინგებში. აქტიურად მონაწილეობს პროფესორ-მასწავლებელთა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. ხელმძღვანელობს საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომებსა და 1 სადოქტორო პროგრამას. 2008-09წწ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრია, ის იყო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი. ფილოლოგიის დოქტორი, უ/მ დინარა ფადვა 2009 წლის ზაფხულში გაიარა ფრანგული ენის ერთთვიანი კურსი(avance)საფრანგეთში. აქტიურად მონაწილეობს საფრანგეთის მიერ ორგანიზებულ მასწავლებელთა სასწავლო-

მეთოდურ ტრენინგებში. პერიოდულად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს. მონაწილეობს პროფესორ-მასწავლებელთა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში.

ასისტენტ პროფესორი, დოქტორანტი ნათია აბაშიძე 2009 წლის ზაფხულში გაიარა 3 თვიანი პროფესიული სტაჟირება საფრანგეთში და აქტიურად მონაწილეობს საფრანგეთის მიერ ორგანიზებულ მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდურ ტრენინგებში. პერიოდულად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს. გამოქვეყნებული აქვს 3 სტატია და ერთი სახელმძღვანელო(პრაქტიკული ფონეტიკის სალექციო კურსი ფრანგულ ენაში- Cours pratique de la phonétique française, "ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი 2006, ISBN 99940-25-98-8). მონაწილეობს პროფესორ-მასწავლებელთა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში.

დოქტორანტი ნინო გურგენიძე (მან 2009 წლის ზაფხულში გაიარა 3 თვიანი პროფესიული სტაჟირება საფრანგეთში) და მასწავლებელი მანონი მნელაძე სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან, ცდილობენ აიმაღლონ პროფესიული დონე და პერიოდულად გამოაქვეყნონ სამეცნიერო სტატიები, მონაწილეობენ ადგილობრივ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციებში და საფრანგეთის მიერ პერიოდულად ორგანიზებულ მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდურ ტრენინგებში.

ფრანგული ფილოლოგიის კაბინეტი აღჭურვილია კომპიუტერთი, ინტერნეტით, სატელეფონური ანტენით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. ყოველწლიურად საფრანგეთის საელჩო საჩუქრად გადსცემს უახლეს ლიტერატურასა და მეთოდოლოგიას, ჟურნალებს, საექსპოზიციო მასალას, პოსტერებსა და აუდიო-ვიდეო მასალას.

საბედნიეროდ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კურირებს ევროსამსახურის მიერ ორგანიზებულ გაცვლით პროგრამას "ევროლიდესას", რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი ნინო ბერაძე. სწორედ მისი ძალისხმევითა და მონდომებით ყოველწლიურად საფრანგეთის რესპუბლიკა, ამ პროგრამით 2-3 თვით აგზავნის ფრანგ მასწავლებელს ჩვენს სპეციალობაზე, 2007 წელს ერთ-ერთმა ფრანგმა მასწავლებელმა **მედი ნაილიმ** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადსცა 300-400 წიგნი. ამ პროგრამის დამსახურება იხი, რომ ჩვენი სპეციალობის და არა მარტო ჩვენი სპეციალობის კურსდამთავრებულები იზავენებიანსამუშაოდ(3-6-7 თვით)საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში, რაც ხელშეწყობდა მათი პროფესიული და ევროპული გამოცდილების ასამაღლებლად.

**გერმანისტიკის პროგრამული მიმართულება.**

გერმანული ფილოლოგიის კათედრა შეიქმნა 1996 წელს, კათედრის გამგედ არჩეულ იქნა დოცენტი **ანზორ აბუსერიძე**. მან დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მუშაობდა შუახვეის რაიონის ჯერ რვაწლიანი და შემდეგ საშუალო სკოლის დირექტორად.

1990 წლიდან ანზორ აბუსერიძე მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1998 წელს დაიცვა დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაიკავა დოცენტის

თანამდებობა გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე, რომლის კათედრის გამგედ მუშაობდა 1996 წლიდან 2006 წლამდე (კათედრის გაუქმებამდე).

ანზორ აბუსერიძეს 2006-2009-მდე და 2009 წლიდან დღემდე (კონკურსის თანახმად მეორე არჩევით) უკავია ასოცირებული პროფესორის თანამდებობა. მას გამოქვეყნებული აქვს 20 მეტი სამეცნიერო სტატია, რესპუბლიკისა და საერთაშორისო კატეგორიის ჟურნალებში, მიღებული აქვს მონაწილეობა გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ ორგანიზირებულ სემინარ-ტრენინგებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. აქტიურადაა ჩართული საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ კონფერენციების მუშაობაში.

1998 წლიდან დღემდე სისტემატიურად გადის კვალიფიკაციას გერმანიაში. 2009 წელს ქალაქ დიუსელდორფში მონაწილეობდა ლიტერატურთა საერთაშორისო კონფერენციაში, მუშაობს საზღვარგარეთის ლიტერატურის სწავლების მეთოდის დანერგვის აქტიურად საკითხებზე; ასწავლის თეორიულ საგნებს ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში; არის სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მეცნიერ-ხელმძღვანელი, გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი; ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. 2008-09წწ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრია. იგი ასევე არის ენათმეცნიერთა მულტიენოვანი ორგანიზაციის (FIPV) წევრი.

ანზორ აბუსერიძე დაჯილდოებულია საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარინებულების სამკერდე ნიშნით და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის საპატიო სიგელით ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

**ნანა სტამბოლიშვილმა** დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (ამჟამად ილიას უნივერსიტეტი), მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში: საშუალო სკოლაში, სამხატვრო სასწავლებელში, ბათუმის № 44 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, ასწავლიდა გერმანულ და ინგლისურ ენებს.

1987 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1988 წელს დაიცვა დისერტაცია სულხან-საბას სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. 1998 წელს დაიკავა დოცენტის აკადემიური თანამდებობა გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე.

2006-დან 2009 წლამდე და 2009 წლიდან დღემდე (კონკურსის თანახმად უკვე მეორე ვადით) უჭირავს ასოცირებული პროფესორის თანამდებობა.

ნანა სტამბოლიშვილს გამოქვეყნებული აქვს 22 სამეცნიერო სტატია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის ჟურნალებში, არის ერთი მონოგრაფიისა და გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის ავტორი; მონაწილეობა აქვს მიღებული გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის მიერ ორგანიზირებულ სემინარ-ტრენინგებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში; აქტიურადაა ჩართული საქართველოსა და მის გარეთ გამართულ საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში. 2008-09წწ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრია. იგი ასევე არის ენათმეცნიერთა მულტიენოვანი ორგანიზაციის (FIPV) წევრი. ნანა სტამბოლიშვილს გავლილი აქვს უმაღლესი სასახლეების მასწავლებელთა საერთაშორისო კურსები ბერლინში ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში, არის გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის(DDAAD)-სტიპენდიანტი; ასწავლის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, არის სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მეცნიერ-ხელმძღვანელი. გერმანისტიკის საგანმანათლებლო მიმართულებისა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ნანა სტამბოლიშვილი დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის საპატიო სიგელით ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.



2006-2009 წლებში გერმანიისტიკის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი იყო ნანა ბოლქვაძე-ლუდეკე. ის 1990-1996 სწავლობდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტურაში რომანულ-გერმანიკულ კათედრაზე. ის ამ დროს აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში. 1999 თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1992-დან დღემდე მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე. 2001 წლიდან არის გერმანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტი, ხოლო 2006-2009 წ. კონკურსის წესით არჩეულია სრული პროფესორის თანამდებობაზე. ის არის 2001-2003 **utsch im Transkaukasus der ZFA REFO** სემინარების სამუშაოს რეფერენტი ტრანსკავკასიის მასშტაბით. 09/02- არის ბილგეფლდის უნივერსიტეტის, ფრ. DAA - სტიპენდიანტი ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ფაკულტეტზე. მუშაობს ორენოვან ლექსიკონზე. ის აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციებში და თეორიულ სემინარებში. 2007 წელს სტაჟირება გაიარა - ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში, ბერლინში, გერმანული ენისა და ლინგვისტიკის ინსტიტუტში. 08/07 მუშაობდა სამეცნიერო პროექტზე: თარგმანის თეორია და პრაქტიკა. მონაწილეობდა სხვადასხვა სახის საკვალიფიკაციო თრენინგებში. 09/07- წაიკითხა მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე თბილისში. მონაწილეობდა მოხსენება. 2008-2009- მუშაობდა სამეცნიერო პროექტებზე: 1. ტექსტის ლინგვისტიკა; 2. რამდენიმე შტრისი ლინგვოკულტუროლოგიიდან. დაასრულა მუშაობა ორენოვან ლექსიკონზე: "გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიურ-სინონიმური ონომასეოლოგიური ლექსიკონი".

1999-2009- გამოსცა 20 სამეცნიერო სტატია ქართულსა და უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში. არის 15 სამაგისტრო ნაშრომის და ორი დოქტორანტის ხელმძღვანელი. 2003-2009- იყო ჟურნალ "ერმანისტიკაში" მთავარი რედაქტორის წევრი. და 8 სამეცნიერო სტატიის ავტორი ამავე ჟურნალში. 2003-დან დღემდე გერმანული ენის საზოგადოების ჭიკსბადენში (GfdS) საქართველოს რეგიონის წევრი.

2008- მუშაობდა გრანტის სამეცნიერო პროექტზე ევროპისტიკის დეპარტამენტის სხვა თანამშრომლებთან ერთად.

2009-2010 წ. ცხოვრობს და მოღვაწეობს გერმანიაში. მუშაობს სხვადასხვა სახალხო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გერმანული ენის შესწავლელი კურსის ხელმძღვანელად. პარალელურად მუშაობს პროფ ორბერტ რიეს-თან ერთად სამეცნიერო პროექტზე: ენა და ემოციები (ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი). 2009 წ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში ჩაშვებულია დასაბუთებელი ზემოთ აღნიშნული ორენოვანი ლექსიკონი, რომელიც 2010 წლის ივლისში გამოიცემა.

2009 წ. მუშაობდა დაასრულა სალექციო კურსები: 1. თარგმანის თეორია და პრაქტიკა; 2. ტექსტის ლინგვისტიკა; 3. ლინგვოკულტუროლოგია.

გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე 2000-2008 წლების განმავლობაში წარმატებულად მუშაობდა გერმანიის მოქალაქე **ფოლკერ ლუდეკე** ის უნდესამტ-ის პროგრამით ძვე იყო საქართველოში წარმოგზავნილი. ის აგრეთვე იყო საქართველოს განათლების სამინისტროს კონსულტანტი. უნივერსიტეტში მუშაობის დროს ის კითხულობდა ლექციებს გერმანული ენის პრაქტიკულ კურსში, იყო მეთოდურ- დიდაქტიკური და ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის სემინარების ხელმძღვანელი. სემინარები ტარდებოდა რეგულარულად თვეში ორჯერ გერ-ის უნდესამტ-ის და მისი კოორდინატორების საქართველოში დოქტორანტების და ჯ რკ კასნერის უშუალო მხარდაჭერითა და ხელშეწყობით. ამასთან დაკავშირებით უნდესამტ-მა გასცა შესაბამისი სერტიფიკატი.

სემინარის ყველა მონაწილესა და რეფერენტზე გერმანიისტიკის პროგრამულ მიმართულებაში. 2000-2007- ის არის 14 გზის რეფერენტი REFO სემინარების ტრანსკავკასიის მასშტაბით, რის გამოც მიღებულია აქვს სერტიფიკატი და მადლობები თავისი წარმომადგენლობითი ორგანოს და საქართველოს განათლების სამინისტროს მხრიდან.

დეპარტამენტში მუშაობენ გამოცდილი პედაგოგები **მაგალი ბოლქვაძე** და **ნატალია ჩანავა**, რომლებიც ეწევიან ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მაგალი ბოლქვაძეს დამთავრებული აქვს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტი, და ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა. ნატალია ჩანავას დამთავრებული აქვს ტვერის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისინი აქტიურ მონაწილეობასღებენ დღევანდელ გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის აკადემიის გაცვლის სამსახურის მიერ ორგანიზებულ სემინარ-ტრენინგებში. პერიოდულად აქვეყნებენ სტატიებს. ხელმძღვანელობენ საბაკალავრო ნაშრომებს.

1977 დან -2010- მდე (გარდაცვალებამდე) გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე მუშაობდა **რეზო ფარცვანი**. მას დიდი დავალი მიუძღვის გერმანული ფონეტიკისა და გრამატიკის სწავლებაში. იგი მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სისტემის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მუშაობდა აჭარის ტელევიზიაში თარჯიმანად და გერმანული ტელეარხის წამყვანად. რეზო ფარცვანიმ დავეტირვა გერმანული პოეზიის შესანიშნავი თარგმანები, მისი ინტენსიური შრომის ნაყოფია გერმანული ენის სახელმძღვანელო სავარჯიშოებითურთ, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტ-ახალგაზრდობას გერმანული გრამატიკის შესწავლაში.



რეზო ფარცვანი დაჯილდოებული იყო იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის საპატიო სიგელით ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

1957 წლიდან 2007 წ-მდე თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდნენ ქალბატონები **ციცლა მდინარაძე** და **ლამარა მიმინოშვილი**. ციცლა მდინარაძე 1957 წლიდან მუშაობდა კათედრაზე და ხანგრძლივი დროის მანძილზე ეწეოდა როგორც პედაგოგიურ, ასევე მათოდურ და სამეცნიერო მუშაობას. 1957 წლიდან 1971 წლამდე და 1992 წლიდან 2007 წლამდე კათედრაზე მუშაობდა ლამარა მიმინოშვილი. შეუფასებელია ციცლა მდინარაძისა და ლამარა მიმინოშვილის წვლილი გერმანიისტიკის სწავლების ოპტიმალური გზებისა და საშუალებების კვლევა-ძიებისა და გერმანული ენის სწავლების ანოტირებული ხერხებისა და მეთოდების დანერგვის საქითხში).

1998 წლიდან გერმანული ფილოლოგიის სპეციალობაზე მუშაობს **ჯანა ფაღავა**. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აჭარა-გურიის რაიონის გერმანული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ინსტიტუტის უცხოური ენების მეთოდკაბინეტს, გამოქვეყნებული აქვს მეთოდური ხასიათის სტატიები პედაგოგიურ-სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში, განვლილი აქვს გოეთეს ინსტიტუტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარ-ტრენინგებში. გაიარა კურსები გერმანიაში.

1971 წლიდან დღემდე გერმანული ენის კათედრაზე მუშაობს **მანანა ჩიტაიშვილი**. მანანა ჩიტაიშვილი 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. გავლილი აქვს კვალიფიკაციები გერმანიაში: იენის უნივერსიტეტთან

არსებული გერმანიისთა საერთაშორისო კურსები 1981 წელს. გერმანიისთა საერთაშორისო კურსები ლაიპციგში, მოსკოვის მორის ტორისის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში 1982 წელს. ის დღემდე დიდი სიყვარულით და ერთგულებით ემსახურება სტუდენტთა სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეს.

დეპარტამენტი შეივსო ახალგაზრდა სპეციალისტებით. კათედრაზე მუშაობა დაიწყო ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ფრიალსანმა სტუდენტმა: ია თურმანიძემ, ნელი ახვლედიანმა, თონა ბერიძემ, ნონა მეტრეველმა, ნათია ხაბიშვილმა, მაია ღუმბაძემ.

**თონა ბერიძე** 2000 წლიდან 2009 წლამდე მუშაობდა გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 2009 წელს არჩეული იქნა ასისტენტ-პროფესორად. თონა ბერიძე აქტიურ მონაწილეობასღებულობს DAAD-ის, გოეთეს ინსტიტუტისა და ZFA-ს მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებში, გარკვეულ წლებში იმყოფებოდა გერმანული ენის მასწავლებელთა კურსებზე გერმანიის ქალაქებში: მიუნხენში, დრეზდენსა და მაისენში. 2004-2006 წლებში წარმატებით დაასრულა გოეთეს ინსტიტუტისა და კასელის უნივერსიტეტის ერთობლივი დაუსწრებელი სწავლების კურსი "გერმანული ენის გაკვეთილი თეორიასა და პრაქტიკაში". იგი აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში.

ინსტიტუტისა, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის და ZFA –ს მიერ ორგანიზებულ სემინარ-ტრენინგებში. 2006-2008 წლებში წარმატებით დაასრულა გოეთეს ინსტიტუტისა და კასელის უნივერსიტეტის ერთობლივი დაუსწრებელი სწავლების კურსი „გერმანული ენის გაკვეთილი თეორიასა და პრაქტიკაში“. 2009 მან მიიღო გოეთეს სახელობის სტიპენდია.

21.09-24.12.09 ირმა დავითაძემ და მისმა კოლეგამ, ნათია ხაბიშვილმა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის დავალებითა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატის ხელშეწყობით მოაწვევეს გერმანული ფოტო-პლაკატების გამოფენა "Ortszeit Local Time", და აღნიშნული დროის განმავლობაში ჩაატარეს შესაბამისი თემატიკის სემინარები მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის.

**ნათია ხაბიშვილი** დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2000 წლიდან მუშაობს აღნიშნულ უნივერსიტეტში გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იგი აქტიურადღებულობდა მონაწილეობას როგორც ადგილობრივ ასევე გოეთეს ინსტიტუტისა, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის და ZFA –ს მიერ ორგანიზებულ სემინარ-ტრენინგებში. 2006 წლის ზაფხულში ნათია ხაბიშვილიმ ავსტრიაში, ვენის დიპლომატიური აკადემიაში გაიარა ერთთვიანი კურსი „გერმანული ენა და ავსტრიული ქვეყანათმცოდნეობა“. 2006-2008 წლებში წარმატებით დაასრულა გოეთეს ინსტიტუტისა და კასელის უნივერსიტეტის ერთობლივი დაუსწრებელი სწავლების კურსი "გერმანული ენის გაკვეთილი თეორიასა და პრაქტიკაში".

2010 წელს ნათია ხაბიშვილიმ მოიპოვა გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის სტიპენდია, რის თანახმადაც გაივლის ტრენინგებს გერმანიაში.

**ია თურმანიძე** 1998 წლიდან დღემდე მუშაობს გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 2002 წელს მონაწილეობდა მიიღო ქუთაისის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში გერმანული ლიტერატურის თეორიაში. არის ორგზის სტიპენდიანტი გერმანიაში. აქტიურ მონაწილეობასღებულობს DAAD-ის, გოეთეს ინსტიტუტისა და ZFA-ს მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებსა და კოლოქვიუმებში.

მაია ღუმბაძე 2002 წლიდან 2009 წლამდე კათედრაზე მუშაობს გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მაია ღუმბაძე აქტიურ მონაწილეობასღებულობს DAAD-ის, გოეთეს ინსტიტუტისა და ZFA-ს მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებში, გარკვეულ წლებში იმყოფებოდა გერმანული ენის მასწავლებელთა კურსებზე გერმანიის ქალაქებში: ბერლინში, ბონში და კიოლნი. 2008-2009 წლებში წარმატებით დაასრულა გერმანული ორგანიზაციის PAD- ის სახელმწიფო სტიპენდიით დაფინანსებული ერთწლიანი სტაჟირება გერმანიის ქალაქ ფრაიბურგში. ამ პროგრამის ფარგლებში მაია ღუმბაძე იყო ფრაიბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი და ამავე ქალაქის უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. იგი აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში, სისტემატურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო ხასიათის სამეცნიერო კონფერენციებში. არის რსუს დოქტორანტი. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში.

**ნონა მეტრეველი** 2000 წლიდან დღემდე კათედრაზე მუშაობს გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ნონა მეტრეველი აქტიურ მონაწილეობასღებულობს DAAD-ის, გოეთეს ინსტიტუტისა და ZFA-ს მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებში. იგი აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს ლიტერატურაში, სისტემატურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო ხასიათის სამეცნიერო კონფერენციებში. 2008 წლიდან არის რსუს დოქტორანტი. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში.

2010 წელს ნონა მეტრეველიმ მოიპოვა გოეთეს ინსტიტუტის სტიპენდია, რის თანახმადაც გაივლის ტრენინგებს გერმანიაში.

# ბუნებრივი ნათქვამი მაცოცხლებელი



იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტთან არსებული იურიდიული კლინიკა ხალხის სამსახურში დგას

მადლობის წერილი უნივერსიტეტმა ჯერ კიდევ 23 აპრილს მიიღო. იგი იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტთან არსებულ იურიდიულ კლინიკის მისამართით შემოვიდა. ბათუმელი ლელა მაღალურაძე გაწეული საქმიანობის გამო მადლიერებას ვერ მალავს. საქმე მისი ობოლი შვილის – ანი მიქაძის ქონებრივი დავის მოგვარებას ეხება.

იურიდიულ კლინიკაში ლელა მაღალურაძეს სამართლებრივი დახმარება სამართალმცოდნეობის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტმა ლაშა ბოლქვაძემ გაუწია, რომელიც ამჟამად ამ კლინიკის კოორდინატორი გახლავთ.

„2010 წლის 16 იანვარს იურიდიულ კლინიკას კონსულტაციისთვის და სამარ-

თლებრივი დახმარებისთვის მიმართა ქ. ბათუმში, თაყაიშვილის №2 მცხოვრებმა, ქალბატონმა ლელა მაღალურაძემ. როგორც თვითონ განგვიცხადა, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 2009 წლის 1 დეკემბერს გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა, რომლის თანახმადაც თაყაიშვილის №2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ეყენება მიქაძეს გადაეცა. იგი ლელა მაღალურაძის დედამთილია, რომელმაც ეს სახლი მხოლოდ თავის სახელზე გაიფორმა და რძალს აღარ აძლევდა იქ ცხოვრების საშუალებას. მას აძულებდა მცირეწლო-



„ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ქ. ბათუმში, თაყაიშვილის ქ. №2-ში მცხოვრები ლელა მაღალურაძის

## განცხადება

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის იანვრის თვეში მიემართე იურიდიულ კლინიკას დახმარებისთვის. საქმე ეხებოდა ჩემი ობოლი შვილის, ანი მიქაძის ქონებრივი დავის მოგვარებას. ქალბატონმა ნინო გაგუამ ყურადღებით მომისმინდა და დამპირდა დახმარებას.

არ შეიძლება უსაზღვრო მადლიერება არ გამოვხატო კლინიკის ხელმძღვანელობის, პედაგოგის ბატონ კახა ფალავანდიშვილისა და უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის ლაშა ბოლქვაძის მიმართ, რომლებმაც გამიწიეს იურიდიული დახმარება და დაიცვეს ჩემი ინტერესები.

მადლობას გიხდით როგორც საზოგადოების ერთ-ერთი წევრი იმისთვის, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ღზრდიან და ამზადებენ ისეთ მომავალ პროფესიონალებს საზოგადოების სამსახურისთვის, როგორც გაწვევრიანებულნი არიან იურიდიულ კლინიკაში“. (წერილის ავტორის სტილი დაცულია)

დაადასტურა კიდევ: ლელა მაღალურაძის თხოვნა კი შემდეგში მდგომარეობა – საკრებულოს გადაწყვეტილება შეცვლილიყო და თაყაიშვილის №2-ში მდებარე სახლის თანამესაკუთრედ თვითონაც ყოფილიყო რეგისტრირებული.

2010 წლის 21 მარტს სასამართლომ ქალბატონ ლელას სარჩელი დაუკმაყოფილა. მის ინტერესებს მე ვიცავდი. კომისიის დაგეგმა თაყაიშვილის №2-ში ლელა მაღალურაძის ცნობის საკითხი განხილულიყო“.


ლაშა ბოლქვაძეს კონსულტაციის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი კახა ფალავანდიშვილი უწევდა.

ნუსხან მამუზაძე

# მილოცვა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა მალხაზ ნაკაშიძემ 2010 წლის 26 ივნისს, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის

სადისერტაციო თემაზე მუშაობა მალხაზ ნაკაშიძემ ჯერ კიდევ 2000 წლიდან დაიწყო, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტმა. მან 2000-2004 წლებში წარმატებით დაასრულა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის



სადისერტაციო კომისიის წინაშე წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ხელისუფლების განმტკიცებთან პრეზიდენტის ურთიერთობათა თავისებურებანი მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემებში“ (აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის მაგალითზე). მალხაზ ნაკაშიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეექვსე კურსდამთავრებულია (ომარ მახარაძის (2001წ), ლევან ჯაყელის (2002წ), ადამ მახარაძის (2006წ), მიხეილ ნაკაშიძისა (2008წ) და ანა ფორცხალიაშვილის (2009წ) შემდეგ, რომელმაც დაიცვა დისერტაცია სამართალმცოდნეობაში და არიან იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები და სამართლის დოქტორები.

სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურა კონსტიტუციური სამართლის სპეციალობით, ჩააბარა იმ პერიოდში მოქმედი წესით გათვალისწინებული საკანდიდატო მინიმუმის ყველა გამოცდა და აქტიურად მუშაობდა სადისერტაციო თემაზე. 2005 წლიდან, განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მალხაზ ნაკაშიძე გახდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი. ამ პერიოდში სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის, საქართველოს

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ავთანდილ დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით.

მალხაზ ნაკაშიძემ 2006-2009 წლებში წარმატებით შეასრულა დოქტორანტისთვის დადგენილი ყველა დამატებითი სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მისმა სადისერტაციო ნაშრომმა სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი წესით, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში წარმატებით გაიარა საერთაშორისო რეცენზირების პროცედურა. ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო, რამაც საშუალება მისცა მას წარედგინა ნაშრომი სადისერტაციო კომისიის წინაშე განსახილველად.

დისერტაცია წინასწარ საჯარო დაცვაზე შეაფასეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიამ შემდეგი შემაჯგულებით: ნანა ჭილაძე - პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე; ბესარიონ ზოიძე - პროფესორი (კომისიის წევრი); კახი ყურაშვილი - ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი); გიორგი კვერენჩილაძე - ასოცირებული პროფესორი (შემფასებელი); ქეთევან ერემაძე - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, სამართლის დოქტორი (შემფასებელი); ავთანდილ დემეტრაშვილი - პროფესორი (სამეცნიერო ხელმძღვანელი).

სადისერტაციო ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ოფიციალურმა შემფასებლებმა და კომისიის წევრებმა. შემფასებლებმა თავიანთ დასკვნაში აღნიშნეს, რომ მალხაზ ნაკაშიძის მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი მასში განხილული საკითხების კომპლექსური კვლევის პირველ ცდას წარმოადგენს. მათივე შეფასებით, პირველად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მალხაზ ნაკაშიძის მიერ გამოყენებულ იქნა უცხოურ სამართლებრივ თუ პოლიტიკურ მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული პრეზიდენტის, ხელისუფლების ცალკეული შტოების და პრეზიდენტისა და ხელისუფლების განმტკიცებლის ურთიერთობების შეფასების ინდექსური ანალიზის მეთოდი, რაც უდავოდ ხაზგასასმელი და მისასაღებელი გარემოებაა. სადისერტაციო ნაშრომის განსაკუთრებულ დირექტულად შეფასდა ის, რომ იგი ინფორმაციულად ხასიათისაა, ზედმიწევნით და დეტალურად არის განხილული კვლევის საგანთან დაკავშირებით ავტორის მიერ

შერჩეული სამი ქვეყნის კანონმდებლობა, ყურადღება გამახვილებულია პრეზიდენტის ხელისუფლების შტოებთან ურთიერთობის პრაქტიკულად ყველა დეტალზე.

შემფასებლებმა და კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ნაშრომში დასმულია არაერთი პრობლემატური საკითხი, შემოთავაზებულია საინტერესო რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება და, ცალკეულ შემთხვევაში, გაზიარება, ხელს შეუწყობს როგორც შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფას, ისე პრობლემების სწორად გადაწყვეტას ამ სფეროში. შემფასებლების აზრით, ავტორის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმის პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ მალხაზ ნაკაშიძე აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან და მის მიერ დისერტაციაში გამოთქმული გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები აისახა კიდევ საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილ კონსტიტუციური ცვლილებების საბაზისო პროექტში. აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო შედეგებმა ასახვა ჰპოვა სამეცნიერო პუბლიკაციებში, რომლებიც ავტორის მიერ გამოქვეყნდა საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში. სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხების პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ავტორს კომისიის წევრებისა და შემფასებლების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია სადისერტაციო ნაშრომის მონოგრაფიის სახით გამოცემაზე, რაც უახლოეს პერიოდში განხორციელდება. ნაშრომის ცალკე მონოგრაფიის სახით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი გამოქვეყნებდა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის სადაც დისერტაციაში განხილული საკითხების კომპლექსური სამეცნიერო კვლევები ძალიან მცირეა. საბოლოოდ, კომისიის გადაწყვეტილებით, სადისერტაციო ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო და მალხაზ ნაკაშიძეს მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. მთელი შემადგენლობით გულწრფელად ულოცავს ბატონ მალხაზს ამ დიდ წარმატებას და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას უსურვებს.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი



# კარგად სწავლების დიდაქტიკური პრინციპი


თანამედროვე სწავლების ეროვნული პროგრამები და სტრატეგიები ორიენტირებულია მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. ამ მიზნის მიღწევა გვაკავალდებულებს არსებითად გარდაიქმნას სწავლების პროცესი.

სწავლების პროცესის გარდაქმნის მთავარი ფაქტორებია სწავლების დიდაქტიკური პრინციპები და კარგად შერჩეული სწავლების მეთოდები.

აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის განმარტებით დიდაქტიკური პრინციპი ეწოდება ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათის იმ სახელმძღვანელო დებულებათა ერთობლიობას, რომელთაც ვიყენებთ სასწავლო საქმიანობაში და რომლებითაც გამსჭვალულია სწავლების მთელი პროცესი. აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის თვალსაზრისით სწავლების პროცესი უნდა ემყარებოდეს შემდეგ დიდაქტიკურ პრინციპებს:

1. ცოდნის სისტემურობისა და სწავლების თანმიმდევრობის პრინციპი.
2. შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი.
3. თვალსაჩინოების პრინციპი.
4. ცოდნა-ჩვევის მტკიცედ შეთვისების პრინციპი.
5. მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი.

უფასებს **აზროვნების დონეზე**. გრაფიკულად ეს ასე გვაქვს წარმოდგენილი:



კარგად სწავლების დიდაქტიკური პრინციპის ამოსავალი იდეა არის სწავლება ძიების დონეზე.

კარგად სწავლების მეთოდოლოგიის დამკვიდრებაში განმსაზღვრელ როლს, პირველ რიგში, ასრულებს სკოლაში შემოქმედებითად მოაზროვნე საგნის მასწავლებელი და უნივერსიტეტში პროფესორი, რომლებიც დღენიდაღ იმადლებენ პედაგოგიური განათლებისა და ოსტატობის დონეს. თუ სკოლას და უნივერსიტეტს არ ჰყავს ახლებურად მოაზროვნე პედაგოგი და პროფესორი, დიდაქტიკური რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

პრობლემა ვერც მაშინ გადაწყდება, თუ სკოლისა და უნივერსიტეტის დეპარტამენტის სათავეში არ დგას შემოქმედებითად მოაზროვნე ხელმძღვანელი, რომლებიც პირადი გამოცდილებით უნდა იძლეოდნენ კარგად სწავლების ცოცხალ ნიმუშებს. სკოლის დირექტორი და უნივერსიტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვერ იქნება კარგად სწავლების დიდაქტიკური პრინციპის დამკვიდრებელი, თუ ისინი მხოლოდ ადმინისტრატორები არიან

და დააფასებენ ღირსეულად. ამის უამრავ მაგალითს იცნობს განათლების ისტორია და მისი გამეორება სასტიკი დანაშაულია მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის წინაშე.

კარგად სწავლების ოსტატისა და კარგი მასწავლებლის განსახიერება იყენენ კათედრის გამგე (ახლა დეპარტამენტის ხელმძღვანელი) პროფესორები ალექსანდრე ჩავლეიშვილი, მიხეილ სტამბოლიშვილი, ხუსეინ ხალვაში, ვლადიმერ ჭანტურია, ალექსანდრე გობრონიძე, დოცენტები ოთარ ახვლედიანი, ვლადიმერ ქემხაძე, ლექტორები მიხეილ გადახაბაძე, კოტე ბოლქვაძე და სხვები.

ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა პედაგოგიკის კათედრას პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე (დღეს მის სახელს ატარებს №111 აუდიტორია, სადაც მოწუობილია პედაგოგიკის კაბინეტი და პედაგოგიური ლიტერატურის ბიბლიოთეკა).

პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე სანიმუშო იყო მისი კათედრის წევრებისათვის როგორც პიროვნება და როგორც ხელმძღვანელი. პირველ რიგში საკუთარ თავზე მუშაობის თვალსაზრისით. ბატონი ალექსანდრე ყოველდღე კითხულობდა ახალ მეცნიერულ ნაშრომს და ცხადია პრესას. მისი შემოსვლა კათედრაზე იწყებოდა სიხალეების შესახებ შთაბეჭდილებების გაცვლით, რადგან ჩვენც, ვიცნობდით რა ჩვენი გამგის ცხოვრების წესს, ჩვენც ვცდილობდით ერთი ახალი მეცნიერული ინფორმაცია გაგვეზიარებინა მისთვის. დაგვეთანხმებით, რომ კათედრაზე დამკვიდრებული ასეთი წესის შედეგი აუცილებლად იქნებოდა კათედრის წევრთა წიგნიერების დონის სისტემატიური ამაღლება. კათედრებზე, სადაც ამ წესს ვერ ამკვიდრებდნენ გამგეები, ბუნებრივად, შედეგად სხვა იყო – ეს იყო კათედრის წევრთა შორის უპატივცემულობა, ჩხუბი და აყალბაყალი, რასაც დღეს არაკოლექტივობას უწოდებენ.

მეორე, პროფ. ალექსანდრე გობრონიძის, როგორც კათედრის გამგის, დასწრება კათედრის წევრთა ლექციებზე, იყო ლექტორის დაოსტატების გაკვეთილი. ვუსმენდით მას, არა როგორც გამგეს, არამედ როგორც განათლებულ კოლეგას. მისი შენიშვნები, რჩევები და რეკომენდაციები იყო წიგნიერი კაცის შენიშვნები, რჩევები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სულიერ კომფორტს გეძენდა თითოეულს.

განათლების სამინისტრო სკოლისათვის დირექტორს და უნივერსიტეტის რექტორი დეპარტამენტის ხელმძღვანელს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა არჩევდეს, რადგან ახალგაზრდობის კარგად სწავლება და აღზრდა მათი პროფესიული ოსტატობის დონეზეა დამოკიდებული.



აკადემიკოსმა იური ბაბინსკიმ ამ დიდაქტიკურ პრინციპებს შემატა სწავლებაში მეცნიერულობის დიდაქტიკური პრინციპი.

დიდაქტიკური პრინციპები პედაგოგიკის ყველა თეორეტიკოსის შრომებსა და სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღების საგანია. მაგრამ სკოლის პრაქტიკიდან მომდინარე ისეთი დიდმნიშვნელოვანი დიდაქტიკური პრინციპი, როგორიცაა **კარგად სწავლების პრინციპი**, დღემდე არ არის მეცნიერულად შესწავლილი და, შესაბამისად, არ არის შეთავაზებული სკოლისათვის, როგორც რეკომენდაცია.

კარგად სწავლების მეცნიერული იდეა კლასიკური პედაგოგიკიდან მომდინარეობს და იან ამოს კომენსკი ასე განსაზღვრავდა მას: “ახალგაზრდობის წესიერად აღზრდა არ ნიშნავს იმას, რომ თავში ჩავუტენოთ აფტორებიდან ამოკრეფილი სიტყვების, ფრაზების, გამოთქმებისა და აზრების ნარევი. არამედ ნიშნავს იმას, **რომ განუვითაროთ მას საგანთა გაგების უნარი**, რათა სწორედ ეს უნარი იქცეს იმ ცხოველ წყაროდ, საიდანაც ცოდნის ნაკადულები გადმოინდობა.”

თანამედროვე სასკოლო პრაქტიკაზე დაკვირვება გვინფორმებს, რომ სწავლებაში ძირითადად გაბატონებულია **სწავლება ინფორმაციის დონეზე** (სახელმძღვანელოზე დაყრდნობით) და **სწავლება ძიების დონეზე** (თავისუფალი აზროვნების ვითარებაში).

ინფორმაციის დონეზე სწავლების პროცესში მოსწავლე **ცნებების დონეზე** ეუფლება სასწავლო მასალას (იმახსოვრებს წესებს, ფორმულებს, თარიღებს და ა. შ.). ცნებების დონეზე დასწავლილი მასალის ცოდნას მასწავლებელი **მეხსიერების დონეზე** აფასებს და თვლის, რომ მიზანი მიღწეულია, რადგან მოსწავლეს ახსოვს ის, რაც ისწავლა.

მოწინავე მასწავლებლები უარყოფენ ცოდნისადმი მიდგომის ამ დრომოჭმულ მეთოდს და მიმართავენ **სწავლებას ძიების დონეზე**. ძიების დონეზე სწავლების პროცესში მოსწავლე ცოდნას იძენს **განცდის დონეზე**, ანუ გარკვეულია შექმნილი ცოდნის **სარგებლიანობასა**. იგი ცნობიერად ემზადება ცხოვრებისათვის, მან იცის, რომ ცოდნა ძალიან მასწავლებელი, შესაბამისად, განცდის დონეზე დაუფლებულ ცოდნას მოსწავლეს

და არ გააჩნიათ ცოცხალი გაკვეთილისა და ლექციის ჩატარების ოსტატობა. სწორედ სკოლის დირექტორი და უნივერსიტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი უნდა აძლევდნენ ტონს სწავლებაში სიხალეების ეფექტიანად დამკვიდრებას. თუ მათ ამის უნარი არ გააჩნიათ, ისინი არა თუ სხვას ვერ მოთხოვენ კარგად სწავლებას, არამედ ვინც კარგად ასწავლის, ვერც იმათ შეაფასებენ

ზოგადი და უმაღლესი სკოლის მიმდინარე რეფორმის წარმატება პირდაპირ კავშირშია სკოლასა და უნივერსიტეტში ჯანსაღი პედაგოგიური კორპუსის ჩამოყალიბებასთან.

**იური ბიბილეიშვილი,**  
სრული პროფესორი





### მაია კიკვაძე 50 წლისაა



შთამბეჭდავი, მიმზიდველი, ხალისიანი, აკურატული, დახვეწილი, მეტობრული, კეთილშობილი, მიზანმიმართული ამ და ბევრი სხვა შესაშური თვისებით დაჯივილებული ბუნებას ქალბატონი მაია კიკვაძე მას ყველაზე პატივს სცემს. აფასებენ, კოაფიციენტებიან. იგი ყველას ხიბლავს გარეგნული სილამაზისა და შინაგანი სრულიყოფილების იშვიათი შერწყმით, პარმონით.

მაია კიკვაძე დაიბადა 1960 წლის 3 ოქტომბერს ლანჩხუთში. სკოლის დამთავრებისთანავე ჩარიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. სტუდენტობისას მუშაობდა თბილისის ნ. ნაკაშიძის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში უფროს ბიბლიოთეკარად. 1981 წლიდან 1985 წლამდე კი - სმა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ლაბორანტად. 1984 წლიდან მან მუშაობდა დაიწყო ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1989 წლიდან 1995 წლამდე ქალბატონი მაია ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების მდივანი და ასისტენტი იყო.

### მერაბ ფუტყარაძე 50 წლისაა



არსებობს ადამიანთა რამდენიმე ტიპი. ერთი - ბევრს არაფერს აკეთებენ, მაგრამ საზოგადოებას თავს აჩვენებენ ისე, თითქოს ყველაფერს აკეთებენ. თანამედროვე ყმადაღებული ტერმინით რომ ვთქვათ, მათ აქვთ ავტოპიარის კარგი უნარი. მეორე - მართლაც საქმიანი ადამიანები არიან, მაგრამ უნდათ რომ სხვებმა დაინახონ და დააფასონ მათი ღვაწლი. მესამე კატეგორიის ადამიანები ყველაფერს აკეთებენ პირნათლად, კეთილსინდისიერად და არა იმისთვის, რომ ვიღაცამ შენიშოს, ვიღაცამ დაინახოს. ეს მათი შინაგანი მოთხოვნაა და სხვაგვარად არ შეუძლიათ. სწორედ ამ ტიპის ადამიანებს მიეკუთვნება სათნოებით და სიქველით აღსავსე პიროვნება - შთაა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჩვენი „სამშოს“ წევრი და უახლოესი მეგობარი მერაბ ფუტყარაძე.

ადამიანის ზრდასა და სელას იმდენი რამ განსაზღვრავს, მის ურთულეს მექანიზმს ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალები ამოძრავებენ, მის პიროვნებას ისეთი ნატიფი დეტალები აყალიბებს და მისი შინაგანი სამყაროს გაგებისათვის იმდენი რამ უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მშრალი - „დაიბადა ... დაამთავრა ... გააკეთა ... დაცვა...“ - თითქმის არაფერს მოქმედია.

და მაინც ამ ბიოგრაფიულ დეტალებს გვერდს ვერ აუვლით.

ამ სტიქონების ავტორებს მერაბთან თითქმის ოცდაათწლიანი მეგობრობა გვაკავშირებს. ჩვენს შორის არიან მისი ბავშვობის მეგობრები და თანაკურსელებიც. ამიტომ საშუალება გვქონდა თვალი მიგვედევინებინა მისთვის, როგორც ადამიანისა და პედაგოგისათვის. ასე რომ სათქმელი ძალზე ბევრი გვაქვს.

მერაბ ფუტყარაძე 1960 წლის 10 ოქტომბერს დაიბადა და აღიზარდა შთიანი აჭარის ერთ-ერთი უღამაზესი ხეობის - მარეთის სოფელ კვიხიძეებში, მოსამსახურის ტრადიციულ ქართულ ოჯახში.

1967-1975 წლებში სწავლობდა კვიხიძეების, ხოლო 1975-1977 წლებში - დღევანდელ საშუალო სკოლაში. 1980 წელს ჩარიცხა ბათუმის შთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბუნების-

წილობრივი განყოფილების მაძიებელი ასპირანტი. 1995 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მისი, როგორც მეცნიერის კვლევის სფერო თავდაპირველად ტერმინოლოგია გახლდათ, მაგრამ იგი წლების განმავლობაში საგრძობად გაფართოვდა. ყველაზე დიდი ინტერესით ის უცხოეთის ქართული ენის შესწავლას ეკიდება. მუშაობს მეოთხედიის თუ ლინგვისტიკის (ვალენტი სკოტოვი) და ინტერესებულია ლექსობრივად დაწერილი ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხებზე. მის მიერ ჯ. ჯიჯიაშვილის თანაავტორობით გამოცემული თურქულ-ქართული ლექსიკონი. იგი რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გახლავთ. მას შეუძლია საკუთარი კვლევის შედეგები დაუკავშიროს კოლეგებისა და გამოკვეთოს ახალი მიმართულებანი, ამიტომ სიახლოებით თანამშრომლობს მათთან. იგი საინტერესო მოხსენებებით წარდგა ლექსობრივად დაწერილი ქართული ენის მიმოხილვაზე თურქული კონგრესებზე. საერთოდ, უნდა არნიშოს, რომ იგი საერთაშორისო, რესპუბლიკურ, ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სესიებში სისტემატურად მონაწილეობს, რაც მისი კვლევის შედეგებს გეგმავს მითითებს.

დღესდღეობით ქალბატონი მაია ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორია. მას ლექციები სკოლაში მიჰყავს ახალ ქართულ ენაში, ქართული ენის პრაქტიკულ კურსში, ენასა და კულტურაში. მაია კიკვაძეს ყველა თვისება აქვს რაც ჭეშმარიტ პედაგოგს ჭირდება - სავნის ცოდნა, კომპეტენტურობა, მომთხოვნელობა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა და რაც ყველაზე მთავარია, საქმისა და სტუდენტის სიყვარული.

ქალბატონ მაიას ბევრ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე

ემუშავია - იგი გახლდათ ზოგადი ფილოლოგიის კათედრის გამგე ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი. იგი კარგი ორგანიზატორი და პრინციპული ხელმძღვანელი იყო. მის მიერ გაკეთებულ საქმეს მუდამ ახნდა კარგი შემსრულებლის ხელი. მას ლიდერის ყველა თვისება აქვს. კოლეგები ემადლიერებიან მას, როგორც გამგებიან ხელმძღვანელს; თბილ ადამიანს, ვისაც ყველაზე ბევრად შეუძლია მოგვარება შეუძლია. მაია კიკვაძე იშვიათი მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება ადამიანმა იბრძოლოს დასახული მიზნის მისაღწევად, არ შეუშინდეს არანაირი სიძულესი, არ დაეკაროს რწმენა, მუდამ წინ მიიწეოდეს და ჰქონდეს დაუოკებელი სწრაფვა ახლისკენ, პროგრესისკენ. მას შეუძლია მისი საქმიანობის გაკეთება შეუძლია.

ქალბატონი მაია მრავალწლიანი მუშაობის და დღევანდელი, დაფრთხილების ისინი და ზოგჯერ ბავშვური თვალთვლითაც შეხედოს სამყაროს. მაია კიკვაძე უნიკალური თვისებებით დაჯივილებული ადამიანია. იგი მხატვრულ ღრნისიბიტიშიც მონაწილეობს, უნივერსიტეტის ობიექტზე ბევრმა ახლა გაიგო, რომ მას შესანიშნავი მუსიკალური ნიჭიც აქვს. ის კარგი კულინარიცაა. შეიძლება თქვას, რა საქმესაც სიყვარულით მოეცადა, ყველაფერი არაჩვეულებრივად გამოუდის.

ყულოცავთ ქალბატონ მაიას ნახვევარსაუკუნოვან ოუბილეს. ვუსურვებთ პირველ რიგში ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ ჯანის სიმრთელეს, ბედნიერებას, ახალ-ახალ სამეცნიერო წარმატებებს და შემოქმედებით მიღწევებს.

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ემუშავება-გეოგრაფიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაამთავრა 1985 წელს.

ყველას უსათუოდ გვახსოვს და არც არასდროს დაგავიწყდება ჩვენი საყვარელი მასწავლებლები, ვინც ერთოდ გავვიღო გონების კარი, მოელი თავისი თვალისმომხრელი მრავალფეროვნებით, სილამაზით, სიგრძობითა და სიღრმით დაგვანახა ეს სამყარო. მუდამ ავგისომება შშობილი სკოლა, იქ გატარებული წლები და ის მადლი, რომელიც მასწავლებლებმა ოდესღაც დათესა ჩვენს გულში და რომელიც დღეს სიკეთისა და კაცობის ნაყოფის მომცან ხელ იქცა.

ასეთი იყო მერაბისათვის კვიხიძეების სკოლა და ამ სკოლის მასწავლებლები, რომელთა შორისაა საკუთარი მამა, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის შესანიშნავი მასწავლებელი ბატონი შთა ფუტყარაძე. მერაბი არც ერთის წინაშე არ დარჩენილა ვალში. ენერჯითა და ენთუზიაზმით აღსავსე 3 წელი მიუძღვნა მან შეახვევის რაიონის სოფელ გოგინაურის საშუალო სკოლას.

აღნიშნულ სკოლაში მისი მონაწილეობით მოხდა გეოგრაფიისა და ბიოლოგიის კაბინეტების რეკონსტრუქციები და სხვა ხელსაწყო-თვალსაზრისით განახლება-შეკეთება. მან უამრავ ახალგაზრდას ჩაუნერგა ბიოლოგიისა და გეოგრაფიის, შშობილი კუთხისა და სრულიად საქართველოს სიყვარული. მერაბის მადლიერ აღსაზრდელებს მუდმივი კავშირი აქვთ მათ საყვარელ მასწავლებლებთან.

1988-1991 წლებში მერაბი სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. მან აკადემიკოს ვახტანგ ჯაოშვილის ხელმძღვანელობით მოამზადა და 1992 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „მკიდროდ დასახლებული მთიანი რაიონების მოსახლეობის გეოგრაფიული პრობლემები (მთიანი აჭარის მაგალითზე)“.

მერაბი 1992 წლიდან დღემდე მუშაობს შთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში. 1993 წლიდან გეოგრაფიის კათედრის დოცენტი, ხოლო 2006 წლიდან დღემდე - უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. კითხვობის ლექციების გეოგრაფიის მიმართულებით რამდენიმე საგანში. პარალელურად სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა ბათუმის სახელაო აკადემიაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალსა და რამდენიმე კერძო უნივერსიტეტში.

სადაც მერაბს უმუშავია, ყველაზე წითელ ზოლად თან სდევდა მაღალი პროფესიონალიზმი, კოლეგებისა და სტუდენტების მიმართ პატივისცემა და სიყვარული. იმ მხელ წლებშიც, ფაქტიური უხელფასობის პირობებშიც, მერაბს საკუთარი რწმენისათვის არ უღალატია.

მერაბ ფუტყარაძე აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. მას გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 4 წიგნი. განსაკუთრებით აღნიშნვის ღრნისა მონოგრაფიები: „მთიანი აჭარის მოსახლეობის

ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები“ და „აჭარა“ (ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება). მათში განხილულია სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, შეფასებულია ბარისა და მთიანი აჭარის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და რესურსები, მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების დონე და დასახულია განვითარების პერსპექტივები. ავტორი პრიორიტეტს ანიჭებს სოფლის მეურნეობის, ტურისტის, ტრანსპორტისა და საწარმო ძალების განვითარებას. ამასთან მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარებისათვის დასახულია რეკომენდაციები, მოცემულია მოსახლეობის ზრდის დინამიკის პროგნოზი და განსაზღვრულია რიცხოვნების ოპტიმიზაციის საკითხები ცხოველების ღრნის აშღლებასთან კავშირში. მერაბ ფუტყარაძემ ბოლო წლებში გამოსცა 2 სახელმძღვანელო: „მალაღვანეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია“ და „ტექნიკური საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში“. პირველ მათგანში ამოწმურადაც არის განხილული მალაღვანეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია. წარმოდგენილია ქვეყნების ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობა, სახალხო მეურნეობის დარგები, საგარეო ეკონომიკური კავშირები. წიგნი განკუთვნილია არამარტო სტუდენტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის.

მერაბ ფუტყარაძემ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ ნუნუზარ ზოსიძესთან ერთად პირველად საქართველოში აბიტურიენტებისათვის შეადგინა ტესტები საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიაში. აღნიშნულმა სახელმძღვანელომ წარმატებით გაიარა აპრობაცია და სპეციალისტთა დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა. მერაბ ფუტყარაძე 1994-2004 წლებში იყო ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიისა და წყლის ბიორესურსების ფაკულტეტის დეკანი მოადგილე. აღნიშნულ თანამდებობაზე მან განსაკუთრებით გააძლიერა მაღალი პედაგოგიური ტაქტი და გულისხმობა მერაბმა. შესაბამისად კოლეგებისა და სტუდენტების დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მერაბ ფუტყარაძე 2008 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების აჭარის ფილიალს. მას აქტიური სამეცნიერო კონტაქტები აქვს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და დარგის წამყვან სპეციალისტებთან. 2001-2004 წლებში მერაბი იყო აჭარის არ. პარლამენტის წევრი.

მერაბის მუდამ შესანიშნავი ქალბატონი ლია ბარამიძე, ქალბატონ ერთ-ერთი ცნობილი პედაგოგია. ქალიშვილი ლანდა კი სკოლის მოსწავლეა. კიდევ ბევრი რამის თქმა და დაწერა შეიძლება ჩვენს კეთილ მეგობარზე და ნაჩვენებ შემდეგ ობიექტებზე ... ჩვენი მერაბ! გულთბილად გილოცავთ ოუბილეს, უფლის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეს.

თამაზ ფუტყარაძე  
თეთრი ავღალიანი  
ოთარ ცეცხლაძე

### მოგონება



17 ოქტომბერს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა პროფესორ ალექსანდრე გობრონიძეს, ვისი უკვდავსაყოფისათვის შთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის

17 სექტემბრის გადაწყვეტილებით მისი სახელი მიენიჭა უნივერსიტეტის III-ე აუდიტორიას. ახლა პროფესორ ალექსანდრე გობრონიძის სახელობის აუდიტორიაში მოწყობილია პედაგოგიის კაბინეტი და პედაგოგიური ლიტერატურის ბიბლიოთეკა.

პროფ. ალექსანდრე გობრონიძის ხსოვნა არ ნელდება, რაც ორი გარემოებით არის გამოწვეული. პირველი, ბათუმის უნივერსიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის მასწავლებლთა მომზადებასთან არის დაკავშირებული პროფესორ ალექსანდრე გობრონიძის სახელი. მან სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა მომავალ მასწავლებელთა კარგად მომზადებას. სკოლის მასწავლებლის მისთვის გათვალისწინებით ის დარწმუნებული იყო, რომ ბათუმის შთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძირითადად მაინც პედაგოგიური კადრების მომზადების ცენტრი იქნებოდა. მაგრამ დიდი იმედგაცრუება გამოიწვია მასში საუნივერსიტეტო რეფორმის პირველი წლის შედეგებმა, როცა ბათუმის შთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საერთოდ შეწყვიტა ზოგადსა-

3. რსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტს გამოეყოს ტურიზმის მიმართულება და მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს ტურიზმის ფაკულტეტი, რომელშიც გაერთიანდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამები	სწავლების საფეხური
1	ტურიზმი	ბაკალავრიატი
2	ტურიზმის მენეჯმენტი	მაგისტრატურა

4. ეთხოვოს რსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს წინამდებარე სტრატეგიული ველირების დამტკიცება.

5. რსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს მიერ შემოადინებული ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში დადგენილების პირველი პუნქტში აღნიშნული ველირება ამოქმედდეს 2010 წლის 28 ოქტომბრიდან, ხოლო მე-3 პუნქტში აღნიშნული ცვლილება - 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან;

6. დადგენილება გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე, ფაკულტეტების აინფორმაციო დაფებზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადში აქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
 რექტორი **ალიოზა ბაკურიძე**




# ხანძთა — ქიხანი და მოსაზრებები

მასალები დოკუმენტური ფილმის სცენარისტის (გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბათუმის უნივერსიტეტი №9/10, 2010 წ.)

## V. მივიწყებული პოლემიკის ახალი სიცოცხლე

მიუხედავად იმისა, რომ პაველ ინგოროვას თვალსაზრისი ხანძთის იდენტიფიკაციის შესახებ დღეს ძირითადად გახიზნულია, რომ ხანძთადაა მოხსენებული ქვემო ფორთის სავანე თანამედროვე ტურისტულ გზამკვლევებსა და ცნობიერებაშიც, უნდა ვაღიაროთ, რომ მსჯელობა ამ საკითხთან დაკავშირებით არ დასრულებულია და დღესაც არანაკლებ აქტუალურია დიდი ხნის წინ განხილული კითხვა: სად არის ხანძთა?



ქვემო ფორთა. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

უკანასკნელ პერიოდში ქართველოლოგიის ამ დიხაც მნიშვნელოვან პრობლემას საგანგებოდ შეეხო პროფესორი მამია ფაღავა. წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურასა და ექსპედიციითა მასალებზე დაყრდნობით სცადა გაეცოცხლებინა მივიწყებული პოლემიკა და დაეხსენებინა ზოგიერთი საკითხი ხანძთის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით.

ერთი რამ ცხადია: მას შემდეგ, რაც ნიკო მარმა ნუკას საყდარი მიიხსია ხანძთად, ხოლო ქვემო ფორთის უსახელო სავანე — შატბერდად, ქართველ მეცნიერთა ყურადღება სწორედ ამ ორი ძეგლისკენა მიპყრობილა: რადგან ხალხის მეხსიერებას ბევრი არაფერი შემოუნახავს და არც ისეთი დოკუმენტი ჩანს, უეჭვოდ რომ მოჰფინოს ნათელი ყველაფერი, როგორც ვთქვი, უნდა ვაღიაროთ, რომ კლარჯეთის ამ სექტორში მხოლოდ ეს ორი სავანეა ხანძთად სახელდებისათვის შესაფერისი. მითუმეტეს, დღეს აღარავინ დაობს, რომ შატბერდი სხვაგანაა საძიებელი.

არქეოლოგიური გათხრების შესაძლებლობა, სამწუხაროდ, არ არსებობს. ამიტომ ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის ყველაზე სანდო წყარო ისევ და ისევ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. მამია ფაღავა ვერძობს ერთი მხრივ სწორედ აღნიშნული თხზულების მონაცემებს, მეორე მხრივ, კი ამ მხარეში არაერთგზისი მოგზაურობის და კვლევა-ძიების შედეგებს და დღემდე ნუკა-ქილისედ ცნობილ ეკლესიას მიიხსენებს ხანძთად. უფრო ზუსტად, ხანძთის იმ ქვის ეკლესიად, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა ააშენა IX საუკუნის დასაწყისში, რაც შეეხება საუკუნის შემდეგ აგებულ

„ახალ და შეუნიერ“ ეკლესიას, მკვლევარის აზრით, ამ ეკლესიის და მასთან დიდი სამონასტრო კომპლექსის ნაშთებია სწორედ ნუკას მიმდებარე ერთობ ვრცელ ტერიტორიაზე მიმოფანტული ნანგრევები.

ხანძთის იდენტიფიკაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, რომ სამონასტრო კომპლექსი თითქმის ორი საუკუნის (782-941 წლების) განმავლობაში შენდებოდა. 780-იან წლებში აშენებული ხის ნაგებობათა კვალიც რომ არ შემოინახებოდა, ეს ცხადია და

აშოტ კუხი და გურგენ კურაპალატი აშენებდნენ.


მაშასადამე, როცა ხანძთის იდენტიფიკაციაზე ვსაუბრობთ, უნდა ვეძებოთ ერთმანეთის მახლობლად სულ ცოტა ორი ეკლესიის კვალი — ერთი მომცრო, უპრეტენზიო არქიტექტურის და შემკულობის, რომელიც IX საუკუნის დასაწყისით თარიღდება და მეორე — X საუკუნის I ნახევარში აგებული დიდი და „შეუნიერი“ ეკლესია.

თუ სად არის ხანძთა, კითხვაზე პასუხის გაცემას სწორედ ამ სავანის მშენებლობასთან დაკავშირებული გარემოებები ართულებს. მკვლევრები უმეტესწილად მსჯელობენ გიორგი მერჩულის თხზულებაში აღწერილი ხანძთის უკანასკნელი მშენებლობის შესახებ. სინამდვილეში საკითხი სხვაგვარად უნდა დაისვას და შესაბამისად კითხვა „სად არის ხანძთა?“ შემდეგ სახეს მიიღებს:

I. სად არის ხანძთის სამონასტრო კომპლექსის ის ნაგებობანი, რომელიც უშუალოდ გრიგოლ ხანძთელის ხელმძღვანელობით აიგო IX საუკუნის დასაწყისში?

II. სად არის ხანძთის „ახალი და შეუნიერი“ ეკლესია თუ სხვა სამონასტრო ნაგებობანი, რომელიც X საუკუნის I ნახევარში აიგო აშოტ კუხისა და გურგენ კურაპალატის მეცადინეობით?

როგორც ვხედავთ, საუბარია სხვადასხვა ნაგებობაზე, უფრო მეტიც, სხვადასხვა ეპოქაზე. დღეს ძნელია რაიმეს დაბეჯითებითი მტკიცება, სამხრეთ საქართველომ ხომ არნახული უბედურება გადაიტანა, ამასთან, ეს ძეგლები სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და კვლევის შესაძლებლობაც შეზღუდულია. ვინ იცის, იქნებ მართლაც არსებობს ხეობისხეობაში ორივე სამშენებლო ეპოქის, ორივე (ან ერთის მაინც) ეკლესიის ნაშთები, ან არცერთი აღარ არსებობს —



ქვემო ფორთის ეკლესია. მონგრეული ბურჯი

გაქრა, აღივსება პირისგან მიწისა სოფლიან-ნაგებობებიანად და მთელი ეს მსჯელობანი ის ხაზია, ოპტიმისტებს უკანასკნელ იმედად რომ დარჩენიათ. ყოველ შემთხვევაში, ძიებას ნამდვილად აქვს აზრი. წმინდა გრიგოლ ხანძთელის ნათელი ხსოვნა, კლარჯეთის სავანეების, ანუ საქართველოს სინაის განუზომელი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის არ მისცემს ქართველ მეცნიერებს დამშვიდებით ყოფნის უფლებას.

## VI. ქვემო ფორთა და იქ მდებარე სამონასტრო კომპლექსი

სოფელი ფორთა ართვინის ოლქის შავშეთის ილჩეში, მდინარე შავშეთისწყლის მარჯვენა ფერდობზე, ფორთისწყლისა და კარხალას ხეობებს შორის, საკმოდ ვრცელ ტერიტორიაზე განფენილი. როგორც ცნობილია, თურქეთის ხელისუფლებამ XX საუკუნის II ნახევარში სამხრეთ საქართველოს თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტს ძველი სახელწოდებით შეუცვალა. შესაბამისად სოფელი ფორთას დღეს ფირნალი (Pirnalli) ჰქვია (ხანდახან მოიხსენიებენ როგორც „ფინარლი“ — წყაროიანი). ადგილობრივები ზოგჯერ ამ ტოპონიმის შინაარსს თავისებურად განმარტავენ. ზემო ფორთელი 76 წლის ილიას ოქუის აზრით, სახელწოდება წარმოსდგება თურქული სიტყვების „ფორ“ და „ნალი“ შეერთებით. „ფორი“ წმიდა კაცს ნიშნავს, უფრო ზუსტად, თურქულ-ქართულ ლექსიკონში ამ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობაა მოცემული: 1) რელიგიური სექტის, ან ორდენის დამაარსებელი 2) ფირი, რომელიც ხელობის წმინდა მფარველი. 3) კარგად მშენიერად. „ნალი“ — არაბული წარმოშობის სიტყვაა და თურქულშიც და ქართულშიც ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

ილიასს ხჯვარა, რომ აქ ოდესღაც წმინდა კაცი მოსულა ცხენით და ამიტომ ქვია ფირნალი. ცხადია, შეუძლებელია, ცოტა ხნის წინ დარქმეული სოფლის სახელი რაიმე ძველ ისტორიას ან ლეგენდას უკავშირდებოდეს, მაგრამ წმინდა კაცის მოტივი მოცემულ რეგიონში მაინც საინტერესოა, მეტადრე მაშინ, როცა აქ უამრავი ისტორია უკავშირდება წმინდანთა საქმიანობას. ცხადია, აქაურები ჭეშმარიტი მუსლიმანები არიან და ქრისტიანული წარსულის აღარაფერი ახსოვთ, უმეტეს შემთხვევაში არც საკუთარი ქართული ფესვებისა, მაგრამ თაობიდან თაობაზე გამოტარებულ ისტორიებს თანამედროვეთა გონებაში ზოგჯერ იმდენად ორიგინალური სახე მიუღია, რომ აშკარად საცნაურია სხვადასხვა ისტორიული ეპოქის

წმინდესა და წარსულთან დაკავშირებული ფაქტის თუ მოვლენის უმოწყალოდ ტრანსფორმირება და სრულიად მოულოდნელი ინტერპრეტაცია ძველი კლარჯის, აწ უკვე გათურქებული ქართველის სულის ინტერცია...

სოფელ ფორთას შავშეთისწყალთან დაშორების ან სიმოდლის შესაბამისად ძირითადად ორ ნაწილად ყოფენ: ქვემო და ზემო ფორთად. ზოგჯერ გამოყოფენ მესამე ნაწილსაც — შუა ფორთას. ადგილობრივთა თქმით, სოფელი შედგება უზნად იყოფა: (შევეცდებით წარმოვადგინოთ ისე, როგორც გამოთქვამენ) 1. საბორ, 2. სუმურ, 3. პაროთ (//ხაროთ), 4. ქელით (//გელით //კელით), 5. სერიდანა, 6. ბაღლიც (//ბაღლიც), 7. დაბასინდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ამ პუნქტის უზნად (მეკვლედ) დასახლება პირობითია, რადგან ჩამოთვლისას ზოგჯერ მეზრესა და ყიშლასაც (სადოვარს, დროებით სადგომს) მეკვლედ ასახელებენ.

სოფელი გათურქებული ქართველებითა დასახლებული. მიკროტოპონიმების უმრავლესობა ქართულია, მაგრამ აქაურთა გამოთქმაში თურქულის გავლენა იმდენად დიდია, რომ დიდი დაკვირვება სჭირდება ადამიანს, ადგილის სახელწოდებაში ქართული ძირი რომ დაიჭიროს. ქართულ სიტყვებს აღმოაჩენ აქაურთა თურქულ მეტყველებაშიც, მაგრამ ესეც გაუცნობიერებელია: როგორც ვთქვი, ფორთელემა აღარც ქართული იცოდა და აღარც თავიანთი ქართული ფესვებისა ახსოვთ რაიმე.

XX საუკუნის დასაწყისში ათორმეტ სავანეთა მხარეში ჯერ კიდევ წააწყდებოდა კაცი ქართულის მცოდნეს. ნიკო მარის თქმით: „აქ ქართული ენა რამდენადმე ესმით, ასევე ესმით ქართული ახალთასა და ჭკელიდან გამოსულ მაცხოვრებლებსაც, მაგალითად, მე ვესაუბრე ერთ მოხუცს ფორთიდან, რომელსაც ასე თუ ისე ესმის ქართული, მაგრამ ფრანხის დამთავრებაც კი არ შეუძლია თურქულის გარეშე, აღარაფერს ვამბობ ქართულ დიალექტთან თურქულის შერევის შესახებ“. თურქეთის საქართველოში ქართული ენის დავიწყების საკითხს ქვემოთ საგანგებოდ შევეხები, აქ კი მხოლოდ იმას შევნიშნავ, რომ დღეს ბევრგან ეს მწირი ქართულიც საოცნებოა.

ქვემო ფორთაშია სწორედ ის მოზრდილი სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც ნიკო მარმა შატბერდად, პაველ ინგოროვამ კი ხანძთად მიიხსენია. ამ ადგილს ადგილობრივები ბაღლარს ან ბაღლიკს ეძახიან, რაც ქართულად ბაღებს ნიშნავს და ამგვარი სახელი საკვლევით შეფერება კომპლექსის ქვემოთ მდებარე ფერდობს.

ქვემო ფორთის მონასტერი გაშენებულია ტერასებზე, მთის საგანგებოდ მოსწორებულ სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდობზე. მონასტრისა და მიმდებარე ტერიტორიებზე შემორჩენილია მხოლოდ ეკლესიის კედლები, სამრეკლო, პატარა საყდარი წყაროს თავზე, დარბაზული ტიპის მეორე ეკლესია, ნანგრევები სატრაპეხოს მოზრდილი ნაგებობისა, სხვადასხვა დამხმარე სათავსოსა თუ სენაკისა, გალავნის ნაშთები. ნგრევას ჟამთა ვითარების გარდა ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც შეუწყვეს ხელი: ქვებს, როგორც მზა მასალას, იყენებდნენ სახლებისა თუ სხვა ნაგებობების მშენებლობისათვის, გარდა ამისა, აქაც დაუდღეულად ეძიებდნენ განძს, თხრიდნენ, ანგრევდნენ და მიწასთან ასწორებდნენ მათივე წინაპრების ნაგებ ძეგლებს.



სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ქვემო ფორთის ეკლესია წარმოადგენს კლარჯეთის არქიტექტურის ახალ ეტაპს და მთელი რიგი სიახლეებით იგი წინამორბედია არა მხოლოდ ოპიზის და დოლისხანის, არამედ დღევანდელი კურაპალატის მიერ ტაოში აგებული დიდი ტაძრებისაც. ამავე დროს მშენებლობისას გამოყენებულია უფრო ძველი, ქართული კლასიკური არქიტექტურის ელემენტებიც.

ეკლესია ჯვარგუმბათოვანი შენობაა, ჩახახული ჯვრის ტიპისა. იგი აღმართულია სუბსტრაქციით შექმნილი ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში. არსებული სახითაც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ძლიერ დაზიანებულია. ჩანგრეულია მკლავის კამარები საბაჯენი თაღებითურთ. სამწუხაროდ, ჩვენს დროში, სულ ცოტა ხნის წინ (2007 წლის დეკემბერში) ჩამოინგრა გუმბათი.

მონასტრის ტერიტორიის დასავლეთით მდებარე ორიარუსიანი სამრეკლო ყველაზე უკეთ არის შემონახული. სამრეკლო არ არის ეკლესიის თანამედროვე სპეციალისტთა, აზრით, იგი XV-XVI საუკუნეში, ან უფრო ადრე, უნდა იყოს აგებული.

მონასტრის გალავნის გარეთ არის არქიტექტურულად გაფორმებული წყარო, მასზე დაშენებულია პატარა დარბაზული სალად ნაგები სამლოცველო, რომელსაც ამჟამად გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები მონგრეული აქვს.

ქვემო ფორთაში უთუოდ მრავალი წარწერა უნდა ყოფილიყო. ბევრი მათგანი დაკარგულია. ნიკო მარიდან მოყოლებული მხოლოდ რამდენიმეა აღმოჩენილი. ზოგიერთი წარწერის ტექსტის ინტერპრეტაცია დღემდე სადავოა. ყველაზე კარგადაა შემონახული სამრეკლოს წარწერის რომლებშიც იხსენიებიან სამრეკლოს მშენებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პირები.

**VII. ნუკა-საყდარი და მისი შემოგარენი**

ნუკას ეკლესია, იგივე ნუკა-საყდარი, თურქულად ნუკა-ქილისე მდებარეობს მდინარე კარჩხალას ხეობაში. კარჩხალა შავშეთისწყლის მარჯვენა შენაკადია. თუ შესართავიდან ამ უღამახეს ხეობას აუყვები, ოთხიოდე კილომეტრის შემდეგ შენიშნავ მარჯვენა სანაპიროს ციცაბო ფერდობზე შექუქულ, ფრიალო კლდის ქიმზე ჯადოქრული ოსტატობით აგებულ ორნაგვიან ბაზილიკას. ახლა ხეობაში უკანასკნელ წლებში გაყვანილი სამანქანო გზებიც ადის: ერთი კარჩხალას მარჯვენა ფერდობზე, ნუკას საყდრის თავზე, ხელო ფორთისკენ მიმავალი. მეორე – მარცხენა სანაპიროზე, ნუკას მოპირდაპირე მხარეს. საყდარი ორივე გზიდან ჩანს, ოღონდ დიდი დაკვირვება საჭირო, რელიეფთან ოსტატურად შესამებულ ეკლესია რომ გარჩიო გარს შემოჯარული კლდეებისგან. შორიდან სხვა რაიმე ნაგებობის კვალი არ ჩანს. არც ახლოდან. თუ საგანგებოდ არ დაიარე ეკლესიის შემოგარენი – საკმაოდ დიდი პერიმეტრი.

ეკლესია შუა ფორთაშია. მიმდებარე უბანს (მეჰელეს), სადაც ორიოდე სახლი დგას, გეგმითი (//ეკლესია) ჰქვია. გამოდმა, კარჩხალასვე სანაპიროზე ვერანაბრად. ამავე სექტორშია წყაროსთავი და მიძინაძორი. რაც შეეხება ქვემო ფორთას, იგი უფრო სამხრეთ-დასავლეთითაა, ნუკადან პირდაპირი ხაზით 3-4 კილომეტრის დაშორებით.

ეკლესიასთან მისვლა ორი გზით შეიძლება: ან ხეივანიდან უნდა დაეშვა სულისშემძვრელად ციცაბო მარჯვენა ფერდობზე,

ან კიდევ მარცხენა ფერდობიდან მდინარე კარჩხალა უნდა გადალახო ძველი თაღიანი ქვის ხიდით და კლდოვან ბილიკებზე აბობლდე. ორივე შემთხვევაში ტერმინი „გზა“ და „ბილიკი“ პირობითია. აქ მოგზაურობა უდიდესი რისკის შემცველია და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ექსპედიციის (ხელმძღვანელი პროფ. მამია ფაღავა) წევრებმა სიფათში ნაიგდეს თავი, გამყოლის გარეშე რომ მოიხილეს ნუკა. უთუოდ ღმერთი გეფარავდა, რამდენ-



ნუკა საყდარი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

იმესათიანი ხატილის შემდეგ მშვიდობით რომ გამოვადწიეთ. თუმცა, ამ ხეტიალმა ერთობ ვეარგო: ჩვენ ხეივანიდან დავეშვიეთ და გზის ძებნაში შემოვიარეთ ნუკას მთელი შემოგარენი ერთობ დიდი რაოდენობით. მოვიხილეთ და აღვზუსტეთ საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე განფენილი ნაშთები, როგორც ჩანს, თუ გრანდიოზული არა, ერთობ დიდი კომპლექსია. ნუკას ტაძრიდან კლდოვანი ბილიკებით ისევ დაბლა დავეშვიეთ კარჩხალის ნაპირამდე, მეორე თაღიან ხიდთან და ამოვედით უკვე მარცხენა ფერდობზე, სოფელ ვერანაბრების ბოლოს.

ამბობენ, ნუკა-საყდარი განსაკუთრებული ბრწყინვალეობითა და შემკულობით არ გამოირჩევაო. ასეცაა, მაგრამ უდიდესი დაკვირვებით შერჩეული ადგილი, კლდეებს შორის კლდისავე ქიმზე ამოყვანილი გარემოზე შესამებული მკაცრი და სადა ხაზებით გამოყვანილი პატარა ეკლესია ხუროთმოძღვრის ღირსებებზე მიუთითებს უპირველესად და ძალაუნებურად გაფიქრებინებს ადამიანს, რომ ამ ადგილს სხვანაირი ნაგებობა არ მოუხდებოდა. აქ აშენებული საყდარი ზუსტად ასეთი უნდა ყოფილიყო.

საკუთრივ ნუკას საყდარში შესვლა დღეს თითქმის შეუძლებელია. ეკლესია თავიდანვე მხოლოდ დასვლეთიდან იყო მისადგომი მაგრამ ახლა მცირე ბაქანი, რომელიც აქ იყო, ჩამოშლილია და მხოლოდ ალპინისტის აღჭურვილობით თუ მოახერხებს ადამიანი შეღწევას.

ნუკა-საყდარი აგებულია კლდის მცირე, საგანგებოდ მოსწორებულ ბუნებრივ შევირღზე, რომელიც გადიდებულია უხეშად დამუშავებული ქვით ნაშენი მაღალი საყრდენი კედლით.

ეკლესიას აქვს ერთი შესასვლელი დასავლეთ კედლის შუაში. სხვა ადგილას კარი მას ვერც ექნებოდა – აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადები, ასევე დასავლეთ ფასადის ნაწილები მიუღებელია, ხოლო ჩრდილოეთიდან შენობა მთელ სიგრძეზე კლდეს ეკვრის და ნაწილობრივ მასშია ნაკვეთი. ძირითად სივრცეში ოთხი სარკმელია. სხვა სარკმელები უფრო მცირე ზომისაა და ნაკლები მონდომებით ჩანს გაკეთებულს.

საყურადღებოა მართკუთხა კამაროვანი სათავსი ეკლესიის იატაკის ქვეშ, მის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან. ამჟამად ის ჩანგრეულია. ამ სათავსის დანიშნულება უცნობია. ვახტანგ ჯობაძე შენიშნავს, რომ რამდენადაც ეკლესიის ირგვლივ საფლავების მოწყობის პირობები არ არის, შესაძლოა, ეს ოთხი კრიპტად (სამარხად) ყოფილიყო გამოყენებული, ისევე, როგორც ოშკში.

ეკლესია ნაგებია ადგილობრივ მოპოვებული ქვიშაქვის უხეშად დამუშავებული ბლოკე-

არის გაშენებული ოშკის, ოთხთა ეკლესიის, პარხლის და ხახულის მონასტრები.

ნუკას საყდართან მიმდებარე ნანგრევებთან დაკავშირებით დღეს ბევრი რამ არის საიდუმლო. ერთი რამ ცხადია, სამონასტრო კომპლექსი საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო განფენილი. ნანგრევების ხასიათი და მასტაბი მოწმობს, რომ ჩვენს თვალწინ არის მნიშვნელოვანი საეკლესიო კომპლექსი, რომლის მხოლოდ ერთი უმცირესი ნაწილია ნუკას საყდარი. იმაზე, რომ ერთ დროს აქ სიცოცხლე დუნდა, მიუთითებს აგრეთვე ორი თაღიანი ხიდი მდინარე კარჩხალზე, როგორც ადგილობრივები უწოდებენ, ვერტიკალურ (მრუდე, თაღიანი ხიდი) და დუხლოვრუ (სწორი ხიდი). ეს ხიდები ერთმანეთისგან დაახლოებით ერთი კილომეტრითაა დაშორებული. ბუნებრივია, ინტენსიური მისვლა-მოსვლა რომ არ ყოფილიყო ხიდებსაც არ ააგებდნენ. სხვათა შორის, წარსული სიცოცხლით სავსე დროების ხსოვნა დღემდე შემონახული აქაურთა მეხსიერებაში. ფორთაში გაიხსენეს ძველების ხატოვნად ნათქვამი: ჩერმუქიდან ნუკას საყდარამდე იმდენად მჭიდრო დასახლება ყოფილა, თხას რომ ჩამოველო, მიწაზე ფეხს არ დაადგამდა, სახურევებზე გადმოვივლიდა.

ნუკადან ოპიზისკენ ძველი გზა ბაღლარზე (ქვემო ფორთაზე) გადიოდა: ნუკადან წასულები გადავიდნენ ქუსლას სერს, შემდეგ ბაღლარს, მერდევანტაშს, კოლთხევს, ქურუქოფრის (გაბეხილ ხილს), ისევ ქუსლად წოდებულ ადგილს (ქუსლა ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა და ორი ბილიკის შეერთების ადგილს ჰქვია) და ოპიზისკენ მიდევდნენ.

მაგრამ თუ ნუკას საყდარი არის ხანძრის ძველი, გრივოლ ხანძრის მიერ აშენებული ეკლესია რა იქნა „ახალი და შეუნიერი“ ეკლესია?



ნაგებობის ნაშთი ნუკა-საყდრის შემოგარენში

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა საგანგებო ყურადღება მივაქციოთ სწორედ შენობა-ნაგებობათა ზემოხსენებულ მრავალრიცხოვან ნაშთებს, რომელიც ჯერ კიდევაა შემორჩენილი ნუკას საყდრის მიმდებარე ფერდობზე, ერთობ ვრცელ ტერიტორიაზე.

ამ ნანგრევების ნაწილი ჯერ კიდევ ნიკო მარამა შენიშნა. იგი საუბრობს ჩამოშლილ გალავანზე, კედლების ფრაგმენტებზე, რომელიც ეკლესიის მახლობლად შეინიშნება. უფრო მოშორებულ, ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით არსებულ ნანგრევებზე მარი არაფერს ამბობს.

ეს ნანგრევები სამონასტრო ნაგებობებისა მიმიფანტულია ძნელად მისაწვდომი ციცაბო ფერდობზე და დაფარულია მცენარეებით. აღბათ ამიტომ იყო, რომ ვახტანგ ჯობაძემ ვერ შენიშნა ისინი. კერძოდ, ჯობაძე წერს: „ნიკო მარი

ლაპარაკობს სამონასტრო ნაგებობებზე, რომელიც ზუსტად შეესაბამება „გრივოლ ხანძრის ცხოვრებაში“ აღწერილს. მაგრამ ჩემ მიერ აღვიღე ნანგრევებში კვლევა-ძიებამ ასეთი ნაგებობები არ გამოავლინა. მე ვერც ჭიშკრიანი გალავანი ვიპოვე, რომელსაც ახსენებს ნიკო მარი. ნუკას საყდრის ახლო-მახლო არც ბერთა სენაკების ნაშთებია, არც ნაგებობები, რომლებიც შეიძლება ყოფილიყო სკრიპტორიუმები, სატრაპეზო თუ საკუჭნაო. მეტიც, ტოპოგრაფიული პირობები შეუძლებელს ხდის იმგვარი სამონასტრო ნაგებობების არსებობას, როგორც აღწერილია „გრივოლ ხანძრის ცხოვრებაში“. ბუნებრივია, პატივცემულ მკვლევარს ალბათ ეს დასკვნაც შეუშლიდა ხელს მონასტრის იდენტიფიკაციაში.

არადა, ნანგრევები აშკარად არსებობს. მისი სრულად დათვალიერება და აღწერა, სწორედ ტოპოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, უადრესად ძნელია. არქეოლოგიურ გათხრებზე კი, გასაგები მიზეზების გამო, დღეს ლაპარაკიც ზედმეტია. ეს ნანგრევები, როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზეა მიმოფანტული. ეკლესიის მდლა, ჩრდილო-დასავლეთით შენობათა კედლების თუ საძირკვლის ნაშთები საყდრიდან 100-150 მეტრის დაშორებითაცაა გაფანტული. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ყველაფერი მიწასთანაა გასწორებული და ძნელია საუბარი ქვების წყობასა თუ ნაგებობათა სტრუქტურაზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, - სურათის მთლიანობაში წარმოდგენა იძლევა გრანდიოზულ კომპლექსზე საუბრის საშუალებას.

რას უნდა გამოუწვიო ამ კომპლექსის იგარქმნა, ამაზე პასუხს გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ტრაგიკული ისტორია იძლევა. ამ მხარეს არ დაკლებია მონღოლების, ოსმალების თუ სხვა

მომხდურთა თარეში. განძი და სიმდიდრე უპირველესად ეკლესია-მონასტრებში ეგულებოდათ და უმოწყალოდ არბეოდნენ მათ. რაც ხმლით მოსულმა მტერმა დააკლო, განძის მძიებლებმა მოუთავეს. მას შემდეგ, რაც წინაპართა სსოვნის და მათი რელიგიის მიმართ მოწიწების გრძნობა მიინაგა, ადგილობრივები თუ სპეციალურად ამ მიზნით შორიდან მოსულნი დაუნებულად თხრიან ციხე-სიმაგრეებს თუ კოშკებს, ეკლესიებს, მონასტრებს, საფლავებს... განძის მძიებელთა ჟინს ამბაფრებს და აცხოველებს მთარული დევნდები მაგანის და მაგანის მიერ საუნჯის პოვნისა და გამდიდრების შესახებ. არ გამოვიციხავთ მეწერის ან მსგავსი ბუნებრივი მოვლენების ზემოქმედების შესაძლებლობასაც: ფერდობის სტრუქტურა ისეა დარღვეული, აშკარად შეინიშნება სტიქიის კვალი.

# ინტერვიუ, რობოტ მეთოდი და რობოტ შანტი

ინტერვიუ ჟურნალისტური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ხშირად სწორედ ინტერვიუ იძლევა მოაგროვო საჭირო ინფორმაცია რაიმე შემთხვევასა თუ მოვლენის შესახებ და მიიღო საინტერესო პასუხი. ინტერვიუ იძლევა ასევე შესაძლებლობას დააკავშიროს ჟურნალისტი ინფორმაციის ამოწმებულ წყაროს-აზიაროს საზოგადოების ან ცალკეულ ადამიანთა გამოცდილებასა და დაკვირვებებს.



ინტერვიუს ამდებებს(განსხვავებით მაგრეპორტიორისგან) არ ევალება აუცილებლად იყოს მომხდარი ფაქტის, მოვლენის, შემთხვევის ადგილი. ამ ყველაფრის შესახებ მას შეუძლია შეკითხვის მხილველებს, მონაწილეებს, საქმეში ჩახედულ ადამიანებს, ვინაც უშუალო მხილველი ან კომპეტენტურია ამა თუ იმ კუთხით და გადასცეს მათ მიერ დანახული თუ განცდილი. ხანდახან ესა თუ ის მოვლენა შეიძლება ხდებოდეს იქ, სადაც ჟურნალისტი უჭირს მოხვედრა-მაგ. კოსმოსურ ორბიტაზე ან კანის კინოფესტივალზე. ამ შემთხვევაში ჟურნალისტი საჭირო ინფორმაციას დებულობს მხილველთა თუ მონაწილეთა გამოკითხვით. ინტერვიუ, რომელიც თავისი ბუნებით ინფორმაციულად უპირატესად შემაჯავრობაშია, ძალზე საინტერესოდ და დაწვრილებით არკვევს მოვლენებისა და ფაქტების მსვლელობას, ეხმარება საზოგადოებას გაერკვეს არსებული, მიმდინარე ან მოსალოდნელ სიტუაციაში, რომელთა ანალიზითაც შესაძლოა სპეციალისტებიც კი იყვნენ დაკავებული. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჟურნალისტის ამოცანას წარმოადგენს უბრალო ჩანაწერის შედგენა, ასეთ შემთხვევაშიც მას უეჭველად მოუწევს ფაქტების (ან მათი დახუსტებისათვის) მიმართოს იმ ადამიანს, რომელსაც საკმაოდ ინფორმაცია გააჩნია აღნიშნულ საკითხზე. ეს შეიძლება იყოს რიგითი მასწავლებელი, თუნდაც მწვრთნელი, ან უბრალოდ სკოლის დირექტორი და სხვა. ინტერვიუ არის ერთგვარი დიალოგის ფორმა, რომელშიც სწორედ ჟურნალისტი იწვევს ინიციატივას შეკითხვების დასმით. ინტერვიუს მეთოდის გამოყენების შედეგი ხშირად არის ტექსტი, რომელსაც მიაკუთვნებენ ინტერვიუს ჟურნალისტი ინფორმაციის მიმღებელი ინტერვიუს მეთოდით, შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა ჟანრებშიც-ჩანაწერის, სტატიის, ნარკვევის და სხვა სახით.

„როგორც შეკითხვა, ისეთივეა პასუხი“-ამ გულბრუნველი მტკიცებულებაში დრმა აზრი იმალება. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტისათვის ყველაზე მთავარია-წინასწარ იყოს გააზრებული ყველა შესაძლო კითხვა, რომელსაც რესპონდენტს დაუსვამთ. ხშირად თანამოსაუბრემ, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ის ოფიციალური პირია, დროში შესწავლილია, ანუ იცის დროის ფასი. „დრო ფულია“-ხშირად გვეხმარება ასეთი გამოთქმა. ამდენად ჟურნალისტის მიერ მოფორმებული შეკითხვები ლაკონური და კონკრეტული უნდა იყოს და, რა თქმა უნდა, თემას შეეხებოდეს. ძალზე მნიშვნელოვანია ჟურნალისტის უნარი საჭირო, საქმიანი მიმართულებით წარმართოს საუბარი, ეურადღება ყველაზე მნიშვნელოვანსა და საინტერესოსზე გაამახვილოს. ხშირად დამწვებ ჟურნალისტებს, რომელთაც საესებით შესაძლებელია რომ

ყველაფერი არ იცოდნენ ყველაფერზე, აშკარად ემჩნევათ დეკლავა, შიში, (სახიდან ფერიც კი ეკარგებათ), მოსალოდნელ შეხვედრაზე არადა რედაქტორს, სწორედ ახალბედა ჟურნალისტის მიერ მომზადებული მასალის ხილვა სურს. ასეთ შემთხვევაში, თუ ინტერვიუს თემა რთული აღმოჩნდა(მაგალითისათვის, თქვენ დაგვაღეს ინტერვიუს აღება რომელიმე პრესტიჟული გაზეთისათვის ან ჟანდაცვის სფეროს შეფისგან ან ახალგაზრდა მსახიობთა წრის ხელმძღვანელისგან, თქვენ კი არც ერთ მათგანს არ თანაუგრძობთ). ინტერვიუს აღების წინ შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი წაიკითხოთ თქვენი საუბრის საგანზე. ასეთ დროს გამოიყენებული უნდა იყოს ბიბლიოთეკები, ინტერნეტი, დამატებითი ინფორმაციისათვის ნაცნობი სპეციალისტების აზრი. გაცილებით უკეთესი იქნება თუკი თქვენ შეძლებთ რაიმე

მნიშვნელოვანი და საინტერესო გაიგოთ თქვენს თანამოსაუბრეზე-მის პროფესიულ მიღწევებზე, გეგმებზე ან თუნდაც სამომავლო საქმიანობაზე. ეს ინფორმაცია თქვენ მოცემთ საშუალებას რაიმე ფორმით ჩართოთ ის მოსალოდნელი შეკითხვების რიგში. მაგ. „ამ ვიცი რომ თქვენს მიერ დროულმა და სწორმა რეაგირებამ მოსალოდნელ გრიპზე შედეგი გამოიღო. გაქვთ თუ არა იმედი, რომ მთლიანად დავამარცხებთ მას?“ არ უნდა დაგვაიწვევდეს, რომ საუბრის პროცესში თქვენის მხრიდან საქმეში ჩახედულება და ერუდირება, ძალზედ მოქმედებს თანამოსაუბრეზე, რომელსაც აუცილებლად დააფასებს და მეტ დროს დაგითმობთ კიდევ(არ არის გამორიცხული, შემოგთავაზოთ ჩაი ან ყავა, რაზედაც უარს არ უნებობთ). არასდროს არ შეაწყვეტონოთ ლაპარაკი თქვენს თანამოსაუბრეს, თუნდაც გეგვენოს რომ მან გადაუხვია თემას. ყურადღებით მოსმენა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე კითხვების დასმის უნარი. მაგრამ ამასთან არ უნდა დაგვაიწვედეთ, რომ თქვენ წარმართავთ საუბარს-და თქვენს ინტერესებშია მიუღლი რიგი საჭირო ინფორმაციის მიღება.

ინტერვიუ თქვენს თანამოსაუბრესთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებით უნდა დაიწყოთ. ზრდილობიანი წარდგენით საკუთარი თავისა და დიმილიანი გამომეტყველებით უნდა აუხსნათ ინტერვიუს თემა და შეხვედრის მიზეზი. მან ამ დროს უნდა დაინახოს, რომ სასაუბრო თემა, თქვენთვის პირადად, ძალზე საინტერესოა და მნიშვნელოვანია. თუ თქვენ თანამოსაუბრეს დრო გააჩნია(ინტერვიუს დაწყების წინ უნდა დაახუსტოთ, რამდენი დრო გაქვთ) შეგიძლიათ მოკლედ მოყვით თქვენს წინა გამოცდილებაზე, ამასთან დაუკავშიროთ ის მომავალი საუბრის თემას. გამოხატეთ საკუთარი აღტაცება იმ პროექტით, რომლითაც დაკავებულია თქვენი თანამოსაუბრე. მიეცით მას საბაბი თავისთავზე საუბრისა, წინასწარ თქვენდამი კეთილად განწყობისა. ყველაფერი ეს ვითარებას განმუხტავს და თქვენ შეძლებთ წყნარად, მშვიდად, ყოველგვარი ზედმეტი დეკლავისა თუ ემოციის გარეშე გადახვიდეთ ოფიციალურ საუბარზე. აუცილებლად უუურეთ თქვენ თანამოსაუბრეს თვალეში. გახსოვდეთ, რომ ურთიერთობა ყოველთვის წარმოებს ორ-ვერხადად და არავერხადად უნდა დონეზე. თუ თქვენი თანამოსაუბრე(ვერ დაიჭერს იმას, რომ თქვენ მისი გეხმობთ) თქვენს გამოსვლაში, თქვენს კესტებში(ყველაზე გავრცელებული კესტი არის თავის დაქნევა, დიმილიანი დამოწმება, რეაქციის შესაბამისი ემოცია), ის არ იგრძნობს თავს კომფორტულად და შეეცდება შეკვეცოს, შეამციროს თავისი პასუხები. თანამოსაუბრესთან „საერთო ენის“ გამოჩახვის უნარს ფსიქოლოგები უწოდებენ უკუკა-

ვშირს. ასეთ დროს ქრება უხერხული პასუხები- თქვენი თანამოსაუბრე მზადაა თვითონ დაგეხმაროთ, მაგრამ საძუხე-აროდ, უკუკავშირის დამყარება არც ისე იოლია. საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია უკუკავშირის პროცესი და ასეთ დროს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტის როგორც პირად თვისებებს, ასევე მაღალ პროფესიონალიზმს. ამის შესახებ არსებობს საკმაოდ საინტერესო რეკომენდაცია პროფესიული ჟურნალისტებისათვის:

\*გწამდეთ თქვენი ნიჭიერებისა და შესაძლებლობებისა, ამასთან იყავით ზრდილობიანი, კეთილმოსურნე და მშვიდი;

\*ილაპარაკეთ მკაფიოდ და გასაგებად;

\*არ დაგავიწყდეთ საკუთარი თავის წარდგენა ინტერვიუს წინ. დაასახელეთ არა მარტო გვარი და სახელი, არამედ იმ გამოცემის სახელწოდებაც, რომლისთვისაც თქვენ მასალას ამზადებთ. მზად იყავით ძალზე მოკლედ დაახსიათოთ ეს გამოცემა(მისი ტირაჟი, რამდენჯერ გამოდის თვეში, მკითხველთა სავარაუდო რაოდენობა და სხვა).


\*თუ თქვენ ხედავთ, რომ თქვენს წინაშე არის მკაცრი, სამუშაოთი შეფიქრებული ადამიანი, იყავით თავდაპირველი და საქმიანი. კითხვები დასვით ლოგიკური თანამიმდევრობით. საუბრის მსვლელობისას დაცალკე რესპონდენტს, თუ საჭიროა იფიქროს კიდევ ხმადალა, ეს ხელს არ შეუშლის თქვენი ინტერესის საგანზე მეტი წარმოდგენის შექმნას. თუ თქვენს წინაშე შემოქმედებითი შესაძლებლობებით სავსე ადამიანია, ასეთ შემთხვევაში საჭიროა გამოხატო მეტი ემოცია-გაკვირვება, აღტაცება, გამოიხირო ცნობისმოყვარეობა, მეტი ინტერესი, რათა მოახერხო „ახლოს მისვლა“ რესპონდენტთან და მისი ნიღობის მოპოვება.

ურთიერთობა დიდი ხელსენებაა. სხვა ადამიანებთან „საერთო ენის“ გამოჩახვის უნარი განაპირობებს წარმატებას არა მარტო ჟურნალისტებისათვის ინტერვიუს მსვლელობისას, არამედ ცხოვრების მრავალ სფეროში. ასე, რომ ინტერვიუს ხერხების ათვისება არავის არ შეუშლის ხელს.

ხშირად ხდება, როდესაც ინტერვიუს ყველაზე გაცხოველებულ მომენტში თქვენი თანამოსაუბრე უცბად დგება და ამბობს, რომ საუბარი დამთავრებულია, ან კომენტარები არ იქნება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, მას არ მოეწონა ჟურნალისტის რეაქცია გაცემულ პასუხებზე, ან თქვენში ოპონენტი დაინახა, ან შეიძლება ის აღაფშოთა თქვენმა გაურკვევლობამ საუბრის შინაარსში, ან ყველაზე უბრალო ახსნა, ის დაიღალა, ან უბრალოდ, მას არ უყვარს ინტერვიუს მიცემა. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია აიძულოთ თანამოსაუბრე უპასუხოს თქვენს კითხვებზე და თქვენ ერთადერთი გამოსავალი გაქვთ-ასეთ ადამიანებს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ. შეეცადეთ მონახოთ მასთან მისვლის ფსიქოლოგიური მომენტები: თავი ისე წარმოიდგინეთ, თითქოს ვერ ამჩნევთ უხერხულ სიტუაციას და დაბნეულობას(ან აღშფოთებას). სწრაფად გააანალიზეთ, თქვენი საუბრის რომელ მომენტს შეეძლო გამოეწვია თქვენი თანამოსაუბრის უკმაყოფილება და შეეცადეთ, შეარბილოთ ამ მიმართულებით საუბრის გაგრძელება. შესაძლებელია, რომ თქვენ

არასწორად გაგიგეს. რიგ შემთხვევაში თქვენ სხვა არაფერი გრჩებათ, თუ არა ზრდილობიანად გამოემშვიდობოთ და სხვა თანამოსაუბრე მოძებნოთ. ჟურნალისტის პროფესიის მქონე ნებისმიერი პიროვნება შინაგანად ჯერ თავად უნდა იყოს მზად ნებისმიერი სიტუაციისათვის. ხანდახან ჟურნალისტს ურთიერთობა უწევს საკმაოდ არასასიამოვნო პირობებში. მაგალითად, ადამიანთან, რომელიც ეკვიტანიალი ვინმეს გაუპატიურებაში, ტერორისტთან ან „მაფიის“ წარმომადგენელთან. როგორ უნდა მოიქცეოთ თანამოსაუბრესთან? უპირველეს ყოვლისა, ზრდილობიანი, თავდაპირველი კესტი, გამოხატული მაღალი პროფესიონალიზმით, უმთავრესი პირობაა ასეთ შემთხვევაში წარმატებული საქმიანობისათვის. ასევე საჭიროა სისწრაფე და ოპერატიულობა- რაც შეიძლება მოკლე დროში მეტი ინფორმაცია მიიღო. უნდა გახსოვდეს: რა დონის დამნაშავეს წინაშე არ უნდა იდგე, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ის პირველ რიგში ადამიანია და შენ საქმე გაქვს მასთან, როგორც ადამიანთან, პიროვნებასთან. გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში თქვენ აუცილებლად მოგიწევთ დამატებით გადაამოწმოთ მიღებული ინფორმაცია და გულდასმით გაფილტროთ ის.

ჟურნალისტურ პრაქტიკაში ხშირია შეხვედრები ისეთ ადამიანებთან, რომლებიც რთული პირადი ხასიათით გამოირჩევიან. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობისას ასევე ხშირია „შეხლა-შემოხლა“, გაუგებრობა, თითქოს მათ არ მოსწონთ ჟურნალისტის მიერ მისი პიროვნებით დაინტერესება, „რთულ“ ადამიანებთან შეჯახების ფაქტები განსაკუთრებით ჭარბობს შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებთან, ცნობილ პოლიტიკოსებთან და სხვებთან, რომლებიც პირად კეთილდღეობასა და სიამოვნებას ყველაფერს სწირავენ და თქვენთან საუბრის პროცესში დიად უსვამენ ხაზს თავის უპატივცემულო დამოკიდებულებას არა მხოლოდ ჟურნალისტების და მათ შორის თქვენს მიმართ. როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი ასეთ დროს? მაშინ როდესაც რესპონდენტი პირად შეურაცხოვდაც კი გადადის? ყველა შემთხვევაში უნდა გაგრძელებდეს ურთიერთობის ჩვეული, პატივცემული მანერა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაღიზიანდეს ჟურნალისტი. პირიქით- წყნარი,



აწონილ-დაწონილი საუბარი ამნაირ „გემირთან“, უნარი იმისა, რომ სწრაფად ნახოთ მოსაზრება მის შესაძლო თავდასხმებზე, ჯერ ერთი მოცემთ საშუალებას მაინც მიიღოთ საჭირო ინფორმაცია, მეორე, რომელიც მომენტში შეიძლება შეიცვალოს თქვენი თანამოსაუბრის განწყობა და ის თავისდაუნებურად მოგვიდებოთ პატივისცემით. ეს ხშირად მაშინ ხდება, როდესაც ჟურნალისტი ახერხებს საუბრის იმ მიმართულებით წაყვანას, რომელიც ხაზს უსვამს „გემირს“ პირად დამსახურებასა თუ მიღწევებს. და კიდევ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაგავიწყდეთ: საუბარი მიგვავთ თქვენ.

ხანდახან თავად ჟურნალისტებიც „ახერხებენ“ ინტერვიუს მსვლელობისას დაძაბული ვითარების პროვოცირებას. ამიტომ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ არ დავსვათ შეკითხვები პროკურორის ტონით, არ გააგრძელოთ საუბარი თემებზე, რომლებიც უსიამოვნოა თქვენი თანამოსაუბრისათვის, კატასტროფებისა და ტრაგედიების თვითმხილველებთან საუბრისას შეეცადეთ არ შეჩერდეთ მომხდარის დეტალებზე, თუკი ხედავთ, რომ ეს მიიმეა თქვენი თანამოსაუბრეებისათვის.

**ი. სანიკიძე,**  
ასოცირებული პროფესორი



ახალი წიგნები

შრსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკას ესტუმრა ცნობილი ქართველი შუმეროლოგი პროფესორი ზურაბ კიკნაძე, რომელმაც საჩუქრად გადმოგვცა მისი და ტრისტან მახაურის მიერ შედგენილი ხალხური პოეზიის ანთოლოგია. მასში წარმოდგენილია ქართული სიტყვიერი ფოლკლორის უძველესი მრავალფეროვნება. სხვებისგან განსხვავებით ხალხური პოეზიის ანთოლოგიის შემდგენლები მკაცრად იცავენ ფოლკლორული ტექსტების ჩაწერის აუცილებელ წესებს და კონკრეტულობას. ავტორები წიგნის ბოლოს მოცემულ შენიშვნებში მიუთითებენ მთქმელის ვინაობას, ჩაწერის ადგილსა და დროს. წიგნს თან ერთვის განმარტებითი ლექსიკონი.

წიგნში დასახელებულ ქართველ მეცნიერებთან ერთად ამ საშურ საქმეში დიდი შრომა აქვთ ჩადებული ჩვენი კუთხის



მკვლევარებს. კარგი იქნებოდა წინათქმაში მათი ვინაობაც გააღებებელიყო.

\*\*\*\*\*


გამოვიდა რუსი ფილოსოფოსის პროფესორ ე.ა. ივანოვის წიგნი „სოციალური ფილოსოფია იურისტებისათვის“. ავტორი ისტორიულ ნარკვევში აღნიშნავს იოსებ სტალინის დიდ ღვაწლს და დამსახურებას ფაშიზმზე გამარჯვებაში.

იოსებ სტალინის შრომების სამი ტომი მისი სიკვდილის შემდეგ დაბეჭდა ამერიკის სტანფორდის უნივერსიტეტმა.

რუსი მეცნიერი მიანიშნებს და განიხილავს იოსებ სტალინის ნაშრომებს სოციალური ფილოსოფიაში. რუსი ფილოსოფოსი აღნიშნავს, რომ იოსებ სტალინმა სოციალიზმის თეორია მიუსადაგა მუშათა სტიქიურ მოძრაობას. ი. ბ. სტალინი სტალინიზმში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“ ანარქიზმის მოავარ შესვლად აღიარებს პიროვნების თავისუფლებას, რომლის მთავარი პირობა ხალხის თავისუფლებაა, ხოლო მარქსიზმის ქვაკუთხედი კი ხალხის თავისუფლებაა, რომლის მთავარი პირობა პიროვნების თავისუფლებაა. რუსი მეცნიერის დასკვნებიდან გამომდინარე ი.ბ. სტალინი თვით გამოდიოდა პიროვნების გაიდევალისების წინააღმდეგ და ერთმანეთს უკავშირებდა პიროვნებას და თავისუფლებას.

სამეცნიერო კრებული

გამოვიდა თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება 1“. კრებულში წარმოდგენილი სტატიები ძირითადად ეხება იურიდიულ, კუმინტარულ და სოციალურ პედაგოგიკის საკითხებს. ჩვენი უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროფესორის ლია ინაიშვილის სტატიაში „სტრუქტურა სამეცნიერო მუშაობა-უმადღესი სკოლის მნიშვნელოვანი პრობლემა“ ზოგადად საუბარია სტრუქტურა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შესახებ. მკვლევარი ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის გაუმჯობესების მიზნით იძლევა საჭირო რეკომენდაციებს. კარგი იქნებოდა ყურადღების გამახვილება ჩვენი უნივერსიტეტში ახლად შექმნილ სტრუქტურა სამეცნიერო ცენტრის მუშაობაზე.



მკითხველის ყურადღებას იმსახურებს ქეთევან ქუთათელაძის სტატია „ცურტავის ეპარქიის საზღვრების საკითხისათვის“, გიორგი კოტორაშვილის „მხატვრულ სახეთა სისტემა (მტრედის სიმბოლო) ვაჟა ფშაველას პოემაში „სული ობლისა“, ივლიტა განაილაძის „ინგლისური ენის სწავლების კონცეფცია“. რევაზ ჯავახიშვილის „უცხოური ინვესტიციების როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში“, იათამხე მაისურაძის „უმუშევრობა და სახელმწიფოს როლი მის შემცირებაში“, დოდო ჯულუხაძის „ტრეფიკინგი და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა“.


დაიბეჭდა 2010 წლის 16-17 აპრილს შრსუ-ს ეკონომიკური პოლიტიკის, ბიზნესისა და ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები თემაზე „ინოვაციები ბიზნესში, პრობლემები, პერსპექტივები, გამოწვევები“. კრებულში წარმოდგენილი სტატიებში ყურადღება გამახვილებულია ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა ბიზნესის განვითარების ინოვაციური პრობლემები, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების სო-



ციოლოგიური, სოციალური და პუბლიცისტური ასპექტები, ბიზნესის ადმინისტრირება კრიზისულ სიტუაციებში, სამეურნეო სისტემის და სუბიექტების ეკონომიკური უსაფრთხოება, ფინანსური სისტემის როლი ბიზნესის განვითარებაში და ა.შ.

პრესა

გამოვიდა ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება 9“. რუბრიკაში აღმოჩენა წარმოდგენილია პროფესორ ვალერი სილოგავას სტატია „დავით აღმაშენებლის კიდევ ერთი უცნობი ავტოგრაფი“. იგი ეხება 1902 წელს ნიკო მარის მიერ სინის მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობას, რომელსაც დართული აქვს 25 ტაბულა ფოტოებით. ერთ-ერთ ფოტოსურათზე მოთავსებულია დავით აღმაშენებლის ავტოგრაფი, რომლის ანალოგს წარმოადგენს მის მიერ 1124 წელს შიო მღვიმისადმი გაცემული ანდერძი. დავითის ანდერძი გაცემულია მისი თანამოღვაწის არსენ ბერის და სულიერი მოძღვრის იოვანე ბერის თხოვნით. საბუთი



დაწერილია კარგად დამუშავებულ, ერთმანეთს გადაკრებულ ეტრატის სუთ ფურცელზე. 1923 სარგის კაკაბაძემ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოიტანა დავითის ანდერძის მცირე ფრაგმენტი. პროფესორი სარგის კაკაბაძე წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ჩვენს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ინახება ნუსხა ხუცუყური შესრულებული დავითის ანდერძის ხელნაწერის ასლი.

გიორგი კალანდიას და ქეთევან ასათიანის სტატიაში „ტიგრან პონენცის ტაძრის ქართული წარწერები“ წარმოდგენილია 2009 წლის ზაფხულში მეცნიერთა მიერ ანისში ჩატარებული პირველი ექსპედიციის ანგარიში. სტატიაში შესწავლილი და გადმოცემულია ტიგრან პონენცის ტაძარში არსებული ქართული წარწერები. სომეხი ისტორიკოსი მათე ურპაცი წერდა, რომ დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა სომეხთა სატახტო ქალაქი ანი, რომელიც 60 წელი იმყოფებოდა ურჯულოთა ტყვეობაში და იგი შემოუერთა საქართველოს სამეფოს. დავით აღმაშენებელმა ასევე გაათავისუფლა ანისის მიხეთად ქცეული ტაძარი. სამწუხაროდ ნიკო მარის მიერ წარმოდგენილი ანისის ისტორიაში ქართველი ისტორიული როლი სათანადოდ არ არის წარმოდგენილი, აქვე გრივად ბაკურიანის ძე სომეხ მოჭაწედ არის გამოცხადებული. ნიკო მარისა და ი. ორბელიანის ცნობილი იყო ტიგრან პონენცის ტაძრის დასავლეთ კედელზე არსებული ქართული ასომთავრული წარწერა, მაგრამ იგი მათ არ გამოუქვეყნებიათ.

აღნიშნული წადრის ფრესკული მხატვრობის წარწერები კარგადაა შესწავლილი პროფესორ ვალერი სილოგავას მიერ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროფესორ გურამ ყორანაშვილის სტატია „ისტორიოგრაფია და ხელისუფლება“ საქართველოს ისტორიის მაგალითზე. სტატიაში აღნიშნულია რომ დავით აღმაშენებლისთვის ისტორიოგრაფია მხოლოდ წარსულის შემეცნების საშუალება კი არ იყო, არამედ საფუძველი პოლიტიკური აქტიურობისათვის. მეფის ხელისუფლება დიდად ირჯებოდა ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის.

პროზისა და პოეზიის განყოფილებაში წარმოდგენილია ვანო ჩხიკვაძის, შერმაძის ქალდაინის, ნანი თარხნიშვილის, თამარ ლომიძის, ნიკოლოზ ლეჟავას, ვანცა ჯობავას ნაწარმოებები.

\*\*\*\*\*

გამოვიდა მართლმადიდებლურ ჟურნალ „კარიბჭეს 9“ ნომრის თემა ყრმები.

განსაკუთრებით საყურადღებოა მამა პორფირეს მშობლებისადმი რჩევა დარიგებანი, რომლის მიხედვით შვილის სულის გადარჩენაში უმთავრესია მშობლის პირადი მაგალითი. მკითხველის ყურადღებას იმსახურებს კახაბერ კენკიშვილის წერილი „მამა გაბრიელის (ურგებაძე) ბავშვობა“, რომელიც ალბათ ბევრ მშობელს პირად ცხოვრებაზე ჩააფიქრებს. ჩვენი თანაქალაქელი ნუგზარ ერგემიძე თავის წერილში გვიჩვენებს ბავშვივით სუფთა სული შევიწარუნოთ და საუბრობს მისი თაობის სულიერ მრწამსზე.

ჟურნალ „კარიბჭეს 10“ თემა სინას მთა. ქართველმა ენათმეცნიერებმა სინას მთაზე იოანე ლოსიმეს ანდერძი აღმოაჩინეს. სინაზე ქართველი ქრისტიანები მე-6 საუკუნიდან დასახლდნენ. სინაზე ქართული კულტურის კერის დაარსება უკავშირდება დავით აღმაშენებლის სახელს. სინაზე ჩვენებურები წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ. არაბთა შემოსევებისაგან შევიწროებულნი ქართველი ბერები საბა წმინდიდან, პალესტინიდან, იერუსალიმიდან და სხვა სავანეებიდან სინაზე გადასახლდნენ. ათონზე ივერიონის აგებას წინ უსწრებდა სინაზე ქართველ კათოლიკეთა და მოღვაწეთა მთელი რიგი სკოლების ჩამო-




ვლილება. აქ მდიდარი წიგნსაცავი არსებობს, სადაც დაცულია ქართული ხელნაწერების დიდი ნაწილი. სავალალოა, რომ დღემდე ძირფესვიანად არ არის შესწავლილი სინას ქართველ მამათა შემეცნებლობა. საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ სინას მთის მწვერვალზე რომ ასულიყო და საქართველოს გადასარჩენად ელოცა ფეხშიშველად.

აიარა ქვის 4 ათასი საფეხური და ასე შეავდრა უფალს თავისი ვრი „მამო სახიერო გვედრები სახელეთა ძისა შენისათა, ნუ განეშორები ერსა ჩვენსა შეცოდებათა გამო“.

\*\*\*\*\*

გამოვიდა ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა 3-6“. ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან. აღნიშნულ

ჟურნალში წარმოდგენილი სტატიები ეხება დარგობრივი ეკონომიკის, ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის ფინანსების, ბანკების, ბირჟების, ეკონომიკის თეორიის თუ მსოფლიო ეკონომიკის პრობლემურ საკითხებს. მკითხველის ყურადღებას იმსახურებს ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ ნატალია რობიტაშვილის სტატია „მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქა-



რთველში“. სტატიის ავტორი ჩვენი ქვეყნისთვის მეტად სავალალო, საგანგაშო სტატისტიკას ასახელებს. საქართველოში მოსახლეობის ზრდის დინამიკას არ განაპირობებს მატრიცული ცხოვრების პირობები. ავტორის მიერ წარმოდგენილი 2008 წლის მონაცემებისაგან შევიწროებულნი ქართველი ბერები საბა წმინდიდან, პალესტინიდან, იერუსალიმიდან და სხვა სავანეებიდან სინაზე გადასახლდნენ. ათონზე ივერიონის აგებას წინ უსწრებდა სინაზე ქართველ კათოლიკეთა და მოღვაწეთა მთელი რიგი სკოლების ჩამო-

ვლილება. აქ მდიდარი წიგნსაცავი არსებობს, სადაც დაცულია ქართული ხელნაწერების დიდი ნაწილი. სავალალოა, რომ დღემდე ძირფესვიანად არ არის შესწავლილი სინას ქართველ მამათა შემეცნებლობა. საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ სინას მთის მწვერვალზე რომ ასულიყო და საქართველოს გადასარჩენად ელოცა ფეხშიშველად.

რედაქტორი იოსებ სანიბიძე სპეციალისტები: ნუსტან მამუჭაბე თამილა აბაშიძე



სარედაქციო კოლეგია: ირიმე ცინცაძე ნანა ცინცაძე შანა ბორბილაძე

დაიბეჭდა სს „პოლიგრაფისტი“ ზ. ბორბილაძის 91 7-59-10; 7-59-11